# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 2010 წელი.

№224 (6590)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## წადით, თქვენი დედაცო, ხალხნო!



3 2

ის გადიოდა ოფისიდან მარტო, და ხალხისათვის გაჰქონდა პური...





4

## Wikileaks მორიგ დარტყმას ამზადებს



ელა გოჩიაშვილი

## აჰა, სარკე!

აჰა, ხმალი! აჰა, სიტყვა,
ლოცვანი და საჭრეთელი!
მაგრამ, გულის უწინარეს,
აჰა, სარკე საჭვრეტელი!

ბეჩავო და თავმოჭრილო,
ყველას წისლით გასათელო,
საქართველო, შე მშიშარა!
შე მმინარა საქართველო!

დალში მხარ-თემოზე გდებით.
წელულებიდან ჩირქი გდისა;
გახსოვს მაინც?! — როდის გქონდა
მუხლი მგლის და შავარდნისა...

გახსოვს მაინც? — სის აბჯარში
რკინის გული გიფეთქავდა...
გახსოვს? — ხმალი — ჯავარდენი...
გახსოვს? — ლურჯა ლაგამს ხრავდა...

მტრის მახვილზე გადალეწილს
ზიარებაც არ უნდაო...
უწურთნელო! ეს შენა ხარ?!
ყველა გიჟის საგუნდაო.

იმ ქორებულ თვალებს ვნატრობ,
იმ შორეულ ცეცხლზე ვთბები;
შენი სიყვარულის პატრონს
რა სინდისით მეღუპები!

შე სამშობლოს მინამგვანო,
აღარც მხნევ და აღარც მრთელო;
გასკდა გული! რა გამინებს!
გაიღვიძე, საქართველო!

გაიღვიძე, — ასწი ბეჭი!
აჰა, გული, აჰა, სარკე!
...და ტაატით გაჰყევ ბილიკს
საკუთარი თავისაკენ.

ჟურნალი „ცისკარი“ №10

## „ერთხელ დაიჭრა ბიჭი, ორჯერ დაიჭრა! აღარა კმარა?“

ანუ ვინც საზოგადოებას ამუნათებთ, პირში წყალი გამოივლეთ!



7



## იქ, ჩვენთან, სადაც დრო გაწყდა...

9

ჟამი ქვათა შეკრებისა

## საქართველოს ოპოზიცია უკმაყოფილების აფეთქებას ელოდება

8

6

## წყალს და ტრანსპორტს ცეცხლი წაეკიდა

**გამოძახილი**

# ის გადიოდა ოფისიდან მარტო, და ხალხისათვის გაჰქონდა პური...

**გაგახსენდათ ხომ?**

**კი, ამ სათაურით ნამდვილად გაგახსენდათ შოთა ნიშნიანიძის ლექსის ერთ-ერთი სტროფი, რომლის მცირე ინტერპრეტაციაც შემოგთავაზეთ.**

მოდით, სათაურს დროებით თავი დავანებოთ და განვიხილოთ ის მიზეზები, რომლებმაც ამ ბოლო დღეებში, საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა აქვს, ის ფაქტობრივად ნახევარკოლონიური ქვეყანაა და ძალიან ჰგავს ლათინური ამერიკისა თუ აფრიკის იმ ქვეყნებს, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიურ ბატონობას (ლათინურმა ამერიკამ – ესპანეთის, ხოლო აფრიკის ქვეყნებმა – ინგლისისძ, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური თუ იდეოლოგიური გავლენის ქვეშ მოექცნენ.

საკუთარი ერის ინტერესების დასაცავად ბრძოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლით. ის ნახევარკოლონიური სტატუსის მქონე ქვეყნებშიც არსებობს და ფაქტობრივად იგივე სახე აქვს, როგორც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის კლასიკურ ფორმას.

განსხვავება კი მხოლოდ ის არის, რომ თუ პირველ შემთხვევაში ეროვნულ ძალებს ბრძოლა უწევთ უცხო ქვეყნის, ანუ დამპყრობლის წინააღმდეგ, მეორე შემთხვევაში ბრძოლა საკუთარი მთავრობის, იმ საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარეობს, რომელიც მთლიანად არის დამოკიდებული უცხო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნებაზე.

პოლიტიკური ბრძოლის ყველაზე მისაღებ და ნორმალურ ფორმას კი არაძალადობრივი ბრძოლა წარმოადგენს.

მაჰათმა განდიმ ინგლისური კოლონიალიზმის წინააღმდეგ შექმნა არაძალადობრივი ბრძოლის ფორმა, რომელიც გამოიხატებოდა არათანამშრომლობასა და სამოქალაქო ურჩობაში.

არათანამშრომლობა გულისხმობდა უარის თქმას არსებულ ხელისუფლებასთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე, ყოველგვარ ტიტულებსა და ჯილდოებზე, სამთავრობო დაწესებულებათა და სასწავლებელთა ბოიკოტზე. ასევე ხელისუფლების მიერ შემოტანილ საქონელზე, თუ ნებისმიერი დახმარების მიღებაზე. არათანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა იყო მასობრივი მშვიდობიანი დემონსტრაციები.

**სამოქალაქო ურჩობა** გამოიხატებოდა პოლიტიკური გაფიცვებით და ცალკეულ შემთხვევებში, გადასახადების გადაუხდელობით.

განდიზმის იდეოლოგიის უმთავრეს პრინციპს და ფაქტობრივად საფუძველს წარმოადგენდა **ყოველგვარ კომფორტზე უარის თქმა, ვნებების დაოკება და სულიერი სიმტკიცის გამომუშავება.**

ეს არის არაძალადობრივი პოლიტიკური ბრძოლის ძალიან მოკლე ანოტაცია. ძალიან მოკლე, მაგრამ მისგან შეგვიძლია ქვეყანაში მიმდინარე იმ ე.წ. პოლიტიკური ბრძოლის ანალიზი გავაკეთოთ, რომელიც მავანთა თქმით უკვე დაწყებულია, გადამწყვეტ ფაზაშიც შესულია და სულ მალე მის შედეგებსაც მოვიმკით.

იმ მიზეზების ანალიზის დაწყებისას, რომლებმაც ბოლო დღეებში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, შევეცდები პასუხი გავცე კითხვას, რომელიც არაძალადობრივი ბრძოლის იდეოლოგიის უმთავრესი პრინციპის გაცნობის შემდეგ, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველს გაუჩნდება:

**რომელი ქართველი ოპოზიციური ლიდერი ამბობს უარს ყოველგვარ კომფორტზე და რომელი ქართველი ოპოზიციური ლიდერი გვაჩვენებს თავის სულიერ სიმტკიცეს?**

ანუ, ძალიან მარტივად რომ ვთქვა, რომელი ლიდერი მიდის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან და მისი პარტიის ანგარიშზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩარიცხული თანხის თუნდაც მცირე ნაწილი მიაქვს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ სამინისტროს წინ დადგმულ კარვებში ცხოვრობენ?

რომელი ლიდერი ამბობს უარს საკმაოდ კომფორტულ ავტომობილზე და მატერიალურად ეხმარება რომელიმე მიუსაფარ ბავშვს, თუნდაც იმ საწვავის საფასურის ოდენობის თანხით, პროდუქტით, ან ტანისამოსით, რომელსაც მისი ავტომობილი 100 კმ-ზე წვავს?

რომელი ლიდერი გაჰყვება პირადად ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეს ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოში, მისი უფლებების დასაცავად?

პასუხი მარტივია.

არც ერთი!

ახლა არ მითხრათ, რომ მათ ის თანხა სახელმწიფოსგან პარტიული ბრძოლის საწარმოებლად, რაიონებში ოფისების მოსაწყობად და აქციიდან აქციაზე გადასაადგილებლად გამოუყო პარლამენტმაო.

სულაც არ მეცინება და როგორც ხედავთ ამ წერილსაც საკმაოდ სერიოზული ფორმა მივეცი.

არც ის მითხრათ, ფული არა აქვთო.

აი იმ პოლიტიკური პარტიების ჩამონათვალი და ის თანხები, რომლებსაც ეს უსაქმურები ჩვენს მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი გადასახადებიდან ღებულობენ (ახლა არ მკითხოთ სიტყვა „უსაქმურები" რატომ დაწერეოძ **(იხ. ცხრილი)**.

ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან აღებულ ამ ინფორმაციას „ლიდერების" გვარები ჩავამატე, რადგანაც უფრო გასაგები ყოფილიყო თუ რომელი საწარმო, უჰ, უკაცრავად, რომელი პარტია, რომელ „ლიდერს" ეკუთვნის.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტ კომენტარს აღარ გავაკეთებ, რადგანაც დასკვნების გამოტანა თქვენთვის მომინდვია და იმ „სულიერ სიმტკიცეზე" გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც აუცილებლად მოეთხოვება არა მხოლოდ არაძალადობრივი ბრძოლის წარმმართველ ლიდერს, არამედ იმ ძალასაც, რომელიც არ გამორიცხავს გარკვეული ძალისმიერი ღონისძიებების გატარებასაც.

თუ განვლილ წლებს, ჩატარებულ აქციებს და სხვადასხვა სახის შეხვედრებს გავიხსენებთ, აქაც ძალიან მოიკოჭლებენ ჩვენი ლიდერები (ეს ძალიან რბილად რომ ვთქვაძ.

რაც შეეხება **არათანამშრომლობას და სამოქალაქო ურჩობას,** აქაც საკმაოდ ბევრი პრობლემა არსებობს.

ერთ-ერთი უმთავრესი კი ის არის, რომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად შეუძლებელია სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ ბოიკოტის გამოცხადება, სხვადასხვა სახის დახმარებებსა თუ გადასახადების გადახდაზე უარის თქმა.

შეუძლებელია პოლიტიკური გაფიცვების მოწყობა იმ მიზეზის გამო, რომ ვინც დასაქმებულია, თუნდაც ოპოზიციურად იყოს განწყობილი, რბილად რომ ვთქვა, მოერიდება სიმწრით ნაშოვი სამსახურის დაკარგვას, ხოლო დაუსაქმებლები ისე არიან გადართულნი პურის ფულის ძებნაში, რომ პოლიტიკისთვის დრო ნაკლებად რჩებათ.

ვერ გეტყვით, თუ რამდენად წაადგება საყოველთაო დაუმორჩილებლობას ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მხრიდან „ქამრების შემოჭერის" პოლიტიკა, მაგრამ ზემოაღნიშნული მიზეზების მიუხედავად, აქციაზე მოსულ მხარდამჭერთა რაოდენობას საგრძნობლად რომ გაზრდის, უდავოა.

რაც შეეხება თავად განდიზმს და არაძალადობრივ ბრძოლას, სიმართლე რომ ვთქვა, სხვისგან ბევრი არაფერი გვაქვს სასწავლი, რადგანაც თუნდაც გასული საუკუნის ბოლოს, საქართველოს ჰყავდა ლიდერები. არა ისეთები, რომლებიც თავიანთ პრესსამსახურებს ავალებენ ამ სიტყვის გავრცელებას სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში, არამედ ჰყავდა ნამდვილი ლიდერები, რომლებიც უდიდესი სულიერი სიმტკიცით გამოირჩეოდნენ და რომლებიც სამშობლოს საკეთილდღეოდ ყოველგვარ პირად კეთილდღეობაზე ამბობდნენ უარს.

ამბობდნენ უარს და მაგალითს აძლევდნენ მთელს საქართველოს.

ეს ლიდერები იყვნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გია ჭანტურია, ზურაბ ჭავჭავაძე.

ხოლო დღევანდელი „ლიდერების" გვარებს, იმ „ლიდერების", რომლებსაც „ბაბაც უნდათ და ჩიჩიაც", არ ჩამოვთვლი. იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ვერიდები. იმიტომ, რომ იმდენი არიან, მეშინია, რომელიმე არ გამომრჩეს და გული არ დავწყვიტო (უფრო კი იმიტომ, რომ ასეთი შედარებით, ნამდვილებს შეურაცხყოფა არ მივაყენოძ.

**გია გაბრიჭიძე**

## 17 პარტია გაძვალტყავებული ხალხის კისერზე...

| რიგითი № | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 11 141,88 | 133 702,50 |
| 2 | [illegible] | 11 141,88 | 133 702,50 |
| 3 | [illegible] | 11 141,88 | 133 702,50 |
| 4 | [illegible] | 11 141,88 | 133 702,50 |
| 5 | [illegible] | 21 413,00 | 256 956,00 |
| 6 | [illegible] | 146 436,71 | 1 757 240,50 |
| 7 | [illegible] | 13 135,54 | 157 626,50 |
| 8 | [illegible] | 13 135,54 | 157 626,50 |
| 9 | [illegible] | 13 135,54 | 157 626,50 |
| 10 | [illegible] | 47 584,25 | [illegible] |
| 11 | [illegible] | 17 960,29 | 215 523,50 |
| 12 | [illegible] | 16 760,29 | 201 123,50 |
| 13 | [illegible] | 32 611,50 | 391 338,00 |
| 14 | [illegible] | 7 217,29 | 86 607,50 |
| 15 | [illegible] | 6 617,29 | 79 407,50 |
| 16 | [illegible] | 6 617,29 | 79 407,50 |
| 17 | [illegible] | 7 217,29 | 86 607,50 |

**ინფორმაცია**

## საქართველოს ბრიყვული ნაბიჯი და რუსეთის აღორძინება

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში რუსეთს ხელი შეუწყო. ნათქვამია პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის ფრატიშეკ გაგორის ერთ-ერთ გზავნილში, რომელიც ინტერნეტ-გვერდზეა გამოქვეყნებული.**

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთში შეჭრის უკიდურესად წამგებიანი გადაწყვეტილება მიიღო და ამით პირდაპირ შეუწყო ხელი რუსეთს, — ნათქვამია დეპეშის ტექსტში, რომელსაც პოლონეთის რადიო ავრცელებს.**

**გაგორის აზრით, „საქართველოთი მანიპულირებდნენ რუსი აგენტები და შესაძლოა ისინი მის (პრეზიდენტის) პირად მრჩევლებშიც იყვნენ„.**

**— საქართველოს მხრიდან გადადგმული ბრიყვული ნაბიჯი მოსკოვს წაადგა და ამ ნაბიჯით უდიდესწილად შეეწყო ხელი რუსეთის აღორძინებას, — ნათქვამია დეპეშაში.**

**პოლონეთის რადიო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის მაშინდელი მთავრობა და პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მომხრეები იყვნენ, ინტერნეტში გამოქვეყნებული დოკუმენტები მოწმობს, რომ ევროკავშირშიც და აშშ-შიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე აზრთა სხვადასხვაობა იყო.**

ჯი-ეიჩ-ენი

## აზრა კვლავ სხვაა, საქმე – სხვა!

*ჯერ ორი „ნაციონალური“ წინასაარჩევნო სლოგანი: „საქმე – ლაპარაკის ნაცვლად“ და „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“.*
*ნაცებმა პირველი პარლამენტის ბოლო არჩევნების წინ „ამუშავეს“, მეორე – ადგილობრივი თვითმმართველობის წლევანდელი არჩევნების წინ.*
*საქმე, თუმც იგი აშკარად კეთდება, ლაპარაკს, უფრო მეტად კი ზღვარდაუდებელ ტრაბახსა და ტყუილებით ბაქიბუქს, რომ ვერ სჯობნის, სამწუხაროდ, ფაქტია.*
*მეორე სლოგანი კი ხალხმა სიტყვა ფულით „შეავსო“ – ჯერ კიდევ ბევრი ფული აქვთ გასაკეთებელიო, „ლევიცა“ და „პრავიცო“.*

# წადით, თქვენი დედაცო, ხალხნო!

## ანუ მამლის ბოლო, რომლის დამალვას მაღალჩინოსანნი არც ცდილობენ – ჩვენი ფიცი თუ არ გწამთ, სადაც გინდათ და ვისთანაც გინდათ, იქ და იმასთან იჩივლეთო!

ეს ყველაფერი ერთმა მრავლისმეტყველმა ინფორმაციამ წამომაგონა, რომელიც გუშინ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა.

თუმცა ვიდრე მის შინაარსს გაგაცნობდეთ, მინდა ბოდიშის მოხდით, პატივცემულო მკითხველო, სამი ამონარიდი შემოგთავაზოთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ შარშან და წლეულს ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ჩემი სამი წერილიდან, რითაც ნათლად წარმოჩნდება, რომ ჩვენს მაღალჩინოსნებს, როდესაც საქმე მათს კეთილდღეობას ეხება, ხალხი და მისი პრობლემები სულაც ფეხზე ჰკიდიათ, და რომ **მათი აზრა კვლავაც სხვაა, საქმე კი – სხვა.**

მხედველობაში მაქვს ამ ორი წლის წინათ პრემიერ-მინისტრად ახლად დანიშნული ნიკა გილაურის მოწოდება ქამრების შემოჭერის თაობაზე – **მომჭირნეობით ბიუჯეტს შევეხიდოთ, რაც ქვეყანასა და ხალხს სასიკეთოდ წაადგებაო!**

– ღმერთმა გაგიმარჯოს-მეთქი, – შევძახე ნაცების „ერთი გუნდის“ ერთ-ერთი თავკაცის ამ მართლაც მოსაწონ-მხარდასაჭერი თაოსნობით გახარებულმა.

თუმცა, ჩვენი მაღალ თუ დაბალჩინოსნების გაფუფუნებული ყოფის შემყურემ ჩემი აზრი გამოვთქვი და რამდენიმე კონკრეტული რჩევაც შევკადრე „ინიციატორს“ ჩვენი გაზეთის შარშანდელი 12 თებერვლის პუბლიკაციით **„პრემიერმა, ქამარი შემოიჭირეთო!“**

**„ქამრის მოჭერა რატომ არ გულისხმობს მაღალჩინოსანთა არცთუ ისე მცირე ხელფასების** (მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უკიდურესად შეჭირვებული ყოფის კვალობაზე, ცხადია) **შემცირებას, ბატონო ნიკა?**

ამით ხომ განუზომლად დიდი თანხები დაიზოგებოდა?

ასე რომ არ იყოს, **განა ამერიკის ახალი პრეზიდენტი გაუყინავდა იქაურ მოხელეებს წელიწადში 100 ათას დოლარს გადაჭარბებულ შემოსავალს?**

ან თუნდაც ჩვენი ხელისუფლებისთვის სამაგალითო ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს მივბაძოთ: **ლატვიის პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ხელფასი 15 პროცენტით შეიმციროს და შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართა სახელმწიფო კანცელარიას.**

დაგითვლიათ, ბატონო ნიკა, ან თქვენ, ბატონო კახა, ვინც შეცვალეთ ამჟამინდელი პრემიერი ქვეყნის პირველი ფინანსისტის პოსტზე, ანალოგიური გადაწყვეტილების მიღება დამატებით რამდენ მილიონ ლარს დაუზოგავდა ბიუჯეტს?

**ან, თუ ხელფასებს ვერაფრით შეელევით, იქნებ პრემიებსა და დახმარებებს მაინც შეეშვათ ჯერხნობით?**

მერწმუნეთ, ეს უზარმაზარი რეზერვია!

არ გჯერათ? მაშინ მეც დაკონკრეტებაზე გადავალ, როგორც ამას ზოგიერთი გალიზიანებული ოპონენტი მოითხოვდა ჩემგან:

გაზეთ „ასავალ-დასავლის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ მაღალჩინოსანთა დეკლარაციებში ნათქვამია, რომ **ფინანსთა ამჟამინდელ მინისტრს კახა ბაინდურაშვილს ხელფასის სახით მიღებული აქვს 24.216, ხოლო პრემიის სახით – 27.380 ლარი.**

**პრემია გამიგია, მაგრამ ხელფასზე მეტი, კაცო?**

ახლა დახმარებების თაობაზეც არ მათქმევინოთ რამე, განსაკუთრებით ისეთებზე, მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა ქალბატონმა ეკა ტყეშელაშვილმა რომ გამოუწერა თავის თავს შვილის შეძენასთან დაკავშირებით (ღმერთმა გაუზარდოს!) – **არც მეტი, არც ნაკლები – 15 ათასი ლარი(!).**

**ჰოდა, იქნებ ასეთ თანხებზე მაინც ათქმევინოთ უარი მაღალჩინოსნებს, ბატონო ნიკა, და „მარტო“ ხელფასებზე დასვათ, თუ ამ დანიშნულ სარგოს ვერაფრით ვერ შეუმცირებთ?**

ეს თქვენს ინიციატივა-მოწოდებასთან შედარებით ბევრად ეფექტურ-ეფექტიანი და განუზომლად მეტი სარგებლის მომტანი ღონისძიება რომ არ იყოს, ბარაკ ობამა ზემოაღნიშნულს არ იზამდა!

არც თქვენი ლატვიელი კოლეგა, სხვათა შორის!!

**სხვაგვარად თქვენი მოსაწონი წამოწყება, ზღაპრული ნახევარქათამასი არ იყოს, ნახევარღონისძიება იქნება და სასურველ შედეგამდე ვერ მიიყვანს, ბატონო ნიკა, თქვენს მთავრობას, რომლის წარმატება, მერწმუნეთ, გულით გამიხარდება.“**

კი შევკადრე ეს რჩევა პრემიერს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მოგცლიათ ერთი: ჩინოვნიკთაგან არცვის არაფერი დაკლებია ფინანსური თვალსაზრისით და არც ყოვლად უსარგებლო (ყოველ შემთხვევაში ქვეყნად არსებული მძიმე ფონის გათვალისწინებით), ტაშ-ფანდურა ღონისძიებები თუ გაუგებარ-უგემოვნო მემორიალ-ხიდ-შადრევანთა ასაგებად საჭირო დაფინანსებები შემცირებულა.

ამიტომაც შარშანვე, 8 სექტემბრის ნომერში, კვლავ მივმართე „ზოგვის მსურველთ“ პუბლიკაციით **„სარტყელი მოვირტყ-მოვირტყი... (ორი რჩევა და ერთი კონკრეტული მინიშნება საბიუჯეტო სახსრების მომჭირნედ ხარჯვის მოსურნე ჩვენი მთავრობის ჯეელ წევრებს).**

მისი დაწერა უკვე ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილის ტელევიზიით ნათქვამმა გადამაწყვეტინა, – **მომავალი წლის ბიუჯეტი სახსრების მომჭირნედ ხარჯვის გათვალისწინებით იგეგმება, ქამრები უნდა შემოვიჭიროთო.**

„– უჰ, შენი გულისა, – გახარებულმა ლუარსაბივით წამოვიძახე თათქარიძის თანაკუთხელი ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრის ამ სიტყვების გაგონებაზე, იქნებ ახლა მაინც გვეშველოს-მეთქი და, წინასწარ, ამგვარი ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებამდეც კი, შემოვიჭირე ქამარი შარვალზე, რომელსაც ხერხემალზე მიკრული მუცელი უკვე ველარ იმაგრებდა და მძვრებოდა...

**მაგრამ ეჭვი, მოფუთფუთე,**
**გაგახარებს დიდხანს განა?**
**ისეთ კითხვებს შემოგისევს,**
**მტრისას მისი გამოცანა!**

მართლაცდა, ფინანსთა ახლანდელ მინისტრსაც, თავისი ყოფილი და ამჟამინდელი უფროსის მსგავსად, ვაითუ, დაავიწყდეს დანაპირები და ქამრის შემოჭერით რომ ფული დაიზოგებოდა, იმ ფულით საყიდელი ცეილონის ჩაის ნაცვლად კვლავ რომ ჩაილურის წყალი გაგვიხდეს საყლურწავი?

ფუი ეშმაკს, განვედ სატანავ! ღმერთმა დაგვიფაროს!“

არ განვიდა სატანა! კვლავ გაგრძელდა „წერე და იკითხეს“ პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ჯიუტად „აწვება“.

არც მე გამოვდექი ნაკლები ჯიუტი და წლევანდელ 2 აგვისტოს ნომერში კიდევ გამოვაქვეყნე მორიგი მასალა სათაურით **„აბა, სხვა რაა მოსყიდვა, ქრთამი?“**

აი, ერთი ამონარიდი ამ პუბლიკაციიდან:

„ყოველგვარი შესავლის გარეშე დავიწყებ – მამუკა ახვლედიანს, თბილისის მერის პირველ მოადგილედ მუშაობისას, მის მიერვე შევსებული დეკლარაციის თანახმად, წლიურ ხელფასად მიუღია 35 400, ხოლო იმავე პერიოდში პრემიად – 35 240 ლარი (რა იმუშავა ასეთი?!).

ამის ფონზე იქნებ არც ღირდეს თქმა, მაგრამ ამავე დროის განმავლობაში, თუ არ ვცდები, მიწის ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარეობისთვის მასვე დამატებით მიუღია „სულ რაღაც“ 5 ათას ლარამდე, ანუ ჩვენი ღვაწლმოსილი ადამიანები ხუთი წლის მანძილზე რომ მიიღებდნენ პენსიად, იმდენი ფული.

წურაფერს ვიტყვით მობილური თუ ქალაქის ტელეფონების ფაქტობრივად ულიმიტოდ გამოყენებაზე, პრაქტიკულად ლამის განუსაზღვრელი ოდენობის ბენზინსა და სხვა „წვრილმანებზე“...

იმას კი არ ვამბობ, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკს თვეში 6-7 ათასი ლარი არ უნდა ჰქონდეს. პირიქით, მეტსაც უნდა იღებდეს ხელფასად, ქვეყანაში სხვებსაც რომ ჰქონდეთ თუნდაც მინიმალური საარსებო საშუალება.

მაგრამ როდესაც დაქუცმაცებულ-ოკუპირებულ ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობა-უიმედობაა, როდესაც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სიღარიბის კი არა, სიღატაკის ზღვარს მიღმაც ცოცხლობს (და არა ცხოვრობს!), როდესაც ლამის ყოველ ნაბიჯზე გამათხოვრებული უპოვარი ადამიანი დგას ხელგაწვდილი, როდესაც...

ღირს კი ჩამოთვლის გაგრძელება?“

თურმე ღირს და მეტი არა?

და აი, სწორედ ახლა მინდა გაგაცნოთ იმ მრავლისმეტყველი ინფორმაციის შინაარსი, რომლის თაობაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

აი, ისიც:

**„გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის 2009 წლის 20 იანვრის №13 განკარგულება**

**გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისთვის პრემიის გაცემის შესახებ.**

**1. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, შრომის ანაზღაურების პუნქტიდან, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სახელზე 2003 წლის განმავლობაში ყოველთვიურად გაიცეს ფულადი თანხა პრემიის სახით 2950 (ორი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.**

**2. განკარგულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის მთავარ ბუღალტერს ეკატერინე სოიტაშვილს.**

**3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.**

**4. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემოდგომი ორგანოს – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის (მის: თბილისი, ინგოროყვას №7) ან გორის რაიონული სასამართლოს (მის: გორი, ჯორბენაძის №30) მეშვეობით“.**

რავარია? ჟარგონით თუ ვიტყვით, ხომ გლიჯავს?

ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილს ამ განკარგულებასთან ერთად სოციალურ ქსელში გამოუქვეყნებია კიდევ ერთი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ვარძელაშვილს თავისი თავისთვის, ცხადია, კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, **ყოველთვიურად 1000 ლარი გამოუყვია მობილური ტელეფონით სასაუბროდ** (ეს განკარგულება 2009 წლის პირველი აგვისტოთი არის დათარიღებული).

იხ. 5 გვ.





გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის
მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო
რწმუნებულის – გუბერნატორის
განკარგულება

N 13 „20“ 01 2009 წ.

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისათვის პრემიის გაცემის შესახებ

1. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, შრომის ანაზღაურების პუნქტიდან, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სახელზე 2009 წლის განმავლობაში ყოველთვიურად გაიცეს ფულადი თანხა პრემიის სახით 2950 (ორიათასცხრაასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის მთავარ ბუღალტერს ეკატერინე სოიტაშვილს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ ორგანოს – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის (მის: თბილისი, ინგოროყვას N7) ან გორის რაიონული სასამართლოს (მის: გორი, ჯორბენაძის N30) მეშვეობით.

სახელმწიფო
რწმუნებული – გუბერნატორი

სკანდალი

**28 ნოემბერს საიდუმლო მასალების გამოქვეყნებით ცნობილი სკანდალური საიტი Wikileaks, რომლის სლოგანს „მსოფლიოს ნაბიჯ-ნაბიჯ შეზანზარება“, მთავარ ლოზუნგს კი „ინფორმაცია უნდა იყოს თავისუფალი და საჯარო, მიუხედავად იმისა, რა გავლენას ახდენს იგი ინდივიდუალურად ადამიანებზე“ წარმოადგენს, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა. თუმცა ამჯერად საიტზე გამოფენილმა 250 000-გვერდიანმა საიდუმლო მასალამ ის ეფექტი გამოიწვია, რომელსაც ზოგი ანალიტიკოსი 11 სექტემბრის ტერაქტებისას ადარებს.**

საქმე იმ წერილებს ეხება, რომელსაც დიპლომატები სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ამერიკის საელჩოებიდან ვაშინგტონში აგზავნიდნენ. საიტმა ამ მასალების მხოლოდ მცირე ნაწილის, დაახლოებით 1/16-ის გამოქვეყნება მოასწრო, რის შემდეგაც მასზე კიბერშეტევა განხორციელდა, თუმცა მსოფლიო შოკი უკვე ფაქტია. იყო თუ არა ეს ეფექტი საიდუმლო მასალების გამოქვეყნების და შესაბამისად, Wikileaks-ის წყაროს მიზანი, დრო გვიჩვენებს, მსოფლიო ლიდერების რეაქციები კი პრესაში საიდუმლო მასალების გამოქვეყნების დღიდანვე იბეჭდება. „პირველი“ რამდენიმე მათგანს გთავაზობთ.

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჟადის შეფასებით, ეს კამპანია ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული.

„აღნიშნული საიტის მიერ გავრცელებული საიდუმლო დოკუმენტები არა „ინფორმაციის გაჟონვა“, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული კამპანიაა. თუმცა გავრცელებულ დოკუმენტებს იურიდიული ძალა არ აქვს და არც პოლიტიკური ეფექტი ექნება. დარწმუნებული ვარ, გავრცელებული მასალები არც რეგიონის სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობებზე იმოქმედებს, რადგან ჩვენთან ყველა ქვეყანა ერთმანეთთან მეგობრობს“, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანს Wikileaks-ის მიერ გავრცელებული მასალების სერიოზულობაში ეჭვი ეპარება.

Wikileaks-მა მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს. ჩვენ მას ვნახავთ და გავიგებთ, რამდენად სერიოზულია ან პირიქით ეს მასალები“, – განაცხადა ერდოღანმა.

ოფიციალური მოსკოვი სკანდალურ საიტ Wikileaks-ის მიერ გავრცელებულ საიდუმლო მასალებს „კომენტარის ღირსად არ თვლის“. ამის შესახებ „პრაიმ-ტასის“ ჟურნალისტებს რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა ნატალია ტიმაკოვამ განუცხადა.

„ჰოლივუდის მიერ გამოგონილ გმირებს ოფიციალური კომენტარების კეთება არ ესაჭიროებათ“, – განაცხადა ტიმაკოვამ.

აღსანიშნავია, რომ რუსული მედია ამ ფონზე Wikileaks-მიერ გავრცელებული ინფორმაციის საკუთარ, საპირისპირო შინაარსის ინტერპრეტაციას ავრცელებს და კვლავინდებურად ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ომის საქართველოს მიერ დაწყებას საკუთარ საიდუმლო წერილებში ამერიკელი დიპლომატებიც აღიარებენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველმა Wikileaks-ის მიერ სკანდალური მასალების გავრცელებას „სამწუხარო მოვლენა“ უწოდა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობები შენარჩუნდება“.

„ეს სამწუხარო მოვლენაა. მე დავალება გავეცი, აღნიშნული მასალები დეტალურად გაანალიზდეს, თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის უსაფრთხოებას ამით საფრთხე არ დაემუქრება. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ამერიკის ხელისუფლებასთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობები გვაქვს, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება“, – განაცხადა ვესტერველმა.

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი Wikileaks-ის მიერ გავრცელებული სკანდალური ინფორმაციით თავს შეურაცხყოფილად არ თვლის, თუმცა კრიტიკულ განცხადებას მაინც აკეთებს.

სანამ ამ მასალებს თავად პრემიერი გამოეხმაურებოდა, განცხადება იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ გააკეთა და აღნიშნა, რომ „ბერლუსკონი თავს შეურაცხყოფილად არ თვლის“.

„უნდა გითხრათ, რომ იმ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, რომელიც ჩვენ პრემიერის შესახებ წავიკითხეთ, ოპოზიციური გაზეთების პირველ გვერდებზე დიდი ხნის წინათ გავიდა“, – განაცხადა ფრატინიმ.

მოგვიანებით თავად ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ „ე.წ. „ველურ სადამოებში“ არ მონაწილეობს და არც იცის, ეს რა არის“.

„თვეში ერთხელ ვახშამს ვმართავ, სადაც ყველაფერი კორექტულად, ღირსეულად და ელეგანტურად მიმდინარეობს. ის, რაზეც Wikileaks წერს, ჩვენს ქვეყანას ზიანს აყენებს“, – განუცხადა ჟურნალისტებს ბერლუსკონიმ.

ევროპარლამენტის „მწვანეთა“ ჯგუფის თანათავმჯდომარეს დანიელ კონ-ბენდიტს Wikileaks-ის მასალებში ახალი არაფერი უნახავს.

„ეს ყველაფერი, გარკვეულწილად ტყუილია. ჩვენ ამას სიამოვნებისთვის ვკითხულობთ. ცნობილია, რომ დიპლომატიური რეალობა – ის, რაზეც დიპლომატები საუბრობენ, ყოველთვის სასიამოვნო არ არის.




# პირველი მსოფლიო შოკი გადატანილია, Wikileaks მორიგ დარტყმას ამზადებს

Wikileaks-ის ინფორმაციებში ჩვენთვის ახალი არაფერი იყო. ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი გერმანიაში ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს სასაცილოდ მიიჩნევს, დიდი ხანია, ვიცით“, – განაცხადა კონ-ბენდიტმა.




ოფიციალური პაკისტანი Wikileaks-ის მიერ გავრცელებულ სკანდალურ ინფორმაციას გმობს.

როგორც პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულ ბასიტმა განაცხადა, „პაკისტანი საიდუმლო მასალების უპასუხისმგებლოდ გამხელას ცალსახად გმობს“.

ავსტრალია Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საზიანოდ მიიჩნევს და არ გამორიცხავს, რომ საიტის დამფუძნებელი ჯულიან ასანჯი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს.

„ამ ინფორმაციამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს იმ ადამიანების უსაფრთხოებას, რომლებიც ამ დოკუმენტებში არიან მოხსენიებული და ამავდროულად აშშ-ისა და მისი მოკავშირეების, მათ შორის ავსტრალიის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები დააზარალოს“, – განაცხადა ავსტრალიის გენერალურმა პროკურორმა რობერტ მაკლელანდმა.

მისივე თქმით, მთავრობაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ვებ-გვერდის პუბლიკაციის შესაძლო შედეგებს შეისწავლის.

„ამ პუბლიკაციამ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგი მუხლი პოტენციურად დაარღვია და არ არის გამორიცხული, რომ ასანჯის საქმე სასამართლოს გადაეცეს“ – დასძინა მაკლელანდმა.

ინდოეთი Wikileaks-ის მიერ გავრცელებული სკანდალური ინფორმაციით შეშფოთებულია და საიდუმლო დოკუმენტების სრული სახით ხილვა სურს.

„ინდოეთის ხელისუფლება ცოტა არ იყოს, შეშფოთებულია და გარკვეულწილად აინტერესებს, რას ამზადებს Wikileaks. მოვლენებს ინტერესით ვადევნებთ თვალს“ , – განაცხადეს ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სამანხალი მალაია კრიშნიმ.

საფრანგეთი „სრულ სოლიდარობას უცხადებს“ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც Wikileaks-ის მერ გამოქვეყნებული მასალები დაგმო.

„ჩვენ მთლიანად სოლიდარულები ვართ ამერიკის ადმინისტრაციის მცდელობისა, თავიდან აიცილოს ქმედებები, რომლებიც გარკვეული ქვეყნების არა მარტო რეპუტაციას, არამედ ინსტიტუტების მუშაობას ჩრდილს მიაყენებს და ამავდროულად საფრთხეს შეუქმნის ადამიანებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე საკუთარ სამსახურს ეწევიან. აუცილებელია ყურადღების გაძლიერება და ქვეყნების სოლიდარობა იმ ქმედებების მიმართ ბრძოლაში, რომელიც სახელმწიფოების ავტორიტეტს და დემოკრატიულ სუვერენიტეტს უქმნის საფრთხეს“, – განაცხადა საფრანგეთის მთავრობის პრესსამსახურის უფროსმა ფრანსუა ბარუენმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია Wikileaks-მიერ გავრცელებული საიდუმლო მასალების კომენტირებისგან თავს იკავებს.

როგორც გაეროს გენერალური მდივანმა პან გი მუნმა განაცხადა, „გაერო გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურობის შესახებ კომენტარს ვერ გააკეთებს“.

თავად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი კი დიპლომატების საქმიანი მიმოწერის შესახებ ინფორმაციის გაჟონვის გზას და მიზნებს ადგენს.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი ქლინთონი ირწმუნება, „ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს“.

„გავეცი ბრძანება, ყველაფერი გაკეთდეს ამ ინფორმაციის გაჟონვის საშუალებისა და მიზნების დასადგენად. ამასთან, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების სფეროში სპეციალისტების თანამშრომლობით ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ საქმიანი დოკუმენტების უსაფრთხოება სრულად იყოს უზრუნველყოფილი და მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს“, – განაცხადა ქლინთონმა.

ამასობაში კი Wikileaks მორიგი დარტყმისთვის ემზადება, რომლის სამიზნედ ბანკებია გამოცხადებული.

**ლევან ჭითანავა,**

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**



# სამომავლოდ დაგეგმილი მეგამოვლენების გადაფარვის მცდელობა

**ექსპერტი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ Wikileaks-ის მიერ საიდუმლო მასალების გამოქვეყნების პირველი შემთხვევის შემდეგ ამერიკის სპეცსამსახურებმა ანალოგიური ფაქტების პრევენციის მიზნით შესაბამისი ზომები მიიღეს, ამდენად, მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორებულიყო, თუმცა განმეორდა. ეს კი შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ამჯერად საიდუმლო მასალები გამიზნულად გავრცელდა.**

რაც შეეხება თავად გამოქვეყნებული მასალების შინაარსს, როგორც არეშიძემ „პირველს“ განუცხადა, ეს დოკუმენტები შეიძლება, სამ ნაწილად დაიყოს: მასალები, რომელსაც ამერიკის დიპლომატიური სამსახური ამა თუ იმ ქვეყნის მხრიდან ოფიციალურად ღებულობს; ინფორმაციები, რომელიც საელჩომ თავად მოიპოვა და ამა თუ იმ მოვლენაზე ან ლიდერზე დიპლომატების საუბრებს ასახავს და მასალები, რომელიც თავად ქვეყანას, ამ შემთხვევაში აშშ-ს გრიფით „საიდუმლო“ აქვს.

**„ამ ყველაფერმა ძალიან სერიოზული რეზონანსი გამოიწვია და უკვე გააჩინა ბზარი მთელ რიგ სახელმწიფოებს შორის, მათ შორის – იმ ქვეყნების ურთიერთობებშიც, რომლებიც სტრატეგიულ პარტნიორებად ითვლებოდნენ. ამ ეტაპზე ამ სახელმწიფოებს არ დავაკონკრეტებ, თუმცა გეტყვით, რომ ასეთი ქვეყნები ჩვენს რეგიონშიც არიან. ზოგადად, მსგავსი ინფორმაციები შემთხვევით არ ვრცელდება და მგონია, რომ Wikileaks-ის მასალებით ვიღაც იმ ძალზე სერიოზული პროცესების გადაფარვას ცდილობს, რომელიც მსოფლიოში უკვე დაიწყო, ან რომლის მომსწრენი სამომავლოდ გავხდებით. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი გარკვეული ძალების ნამოქმედარი იყოს, რომელთა წარმომადგენლები აშშ-ის ძველ ადმინისტრაციაშიც მუშაობდნენ, ახალ ადმინისტრაციასაც შემორჩნენ, თუმცა ვაშინგტონის ამჟამინდელ პოლიტიკას არ ეთანხმებიან. ამ არგუმენტს საიტის მიერ გავრცელებული მასალების უპრეცედენტო რაოდენობაც ამყარებს. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ საიტისთვის მიწოდებული მასალები, ყოველ შემთხვევაში, მათი ის ნაწილი, რომლის გამოქვეყნება უკვე მოესწრო, შეიძლება, საფრთხეს უქმნიდეს ამერიკის ამჟამინდელ ადმინისტრაციას, მაგრამ არა თავად ქვეყანას და მის უსაფრთხოებას. ინფორმაციების ამერიკასთან დაკავშირებული ეს ნაწილი საიტისთვის შესაძლოა, მეტი დამაჯერებლობისთვის მიეწოდებინათ“,** – დასძინა არეშიძემ.

Wikileaks კი მორიგი დარტყმის განსახორციელებლად ემზადება და უკვე დააანონსა, რომ მორიგი სამიზნე მსოფლიო, მათ შორის ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკები იქნება.

**მამუკა არეშიძე,**

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში**

გლობუსი

# გაიმართება თუ არა ქართულ-რუსული მოლაპარაკება?

**ევროკავშირის მაღალჩინოსანმა კათრინ ეშტონმა დადებითი შეფასება მისცა სააკაშვილის სტრასბურგში გაკეთებულ განცხადებას, უფრო სწორად ფიცს, რომ საქართველო ძალას არ გამოიყენებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ და რომ ის მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებისთვის. ტრადიციონალისტთა ლიდერი ასათიანი იწონებს სააკაშვილის განცხადებას და თვლის, რომ თუ რუსეთი არ უპასუხებს სააკაშვილის წინადადებას, საქართველო მომგებიან ქულას ჩაიწერს. რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი აბაშიძე თვლის, რომ რუსეთის მხრიდან უგუნურება იქნება განცხადების უგულებელყოფა. ბევრი სხვა განცხადებაც გაკეთდა მმართველი პარტიისა და ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან. მათი აზრით, დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად გაიმართება მოლაპარაკება, ყველაფერი ნეგატიური წარსულს ჩაბარდება და დაიწყება ახალი თანაცხოვრება „სუფთა ფურცლიდან" — ისე, როგორც ერთხელ განაცხადა ყოფილმა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ. მაშინ მან მასმედიას მოუწოდა სააკაშვილ-პუტინის შეხვედრამდე მაინც ანტირუსული რიტორიკის მოთოკვა. ამ უკანასკნელმაც გაითვალისწინა ბრძანება და დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დაწყებული ლანძღვა-გინების კორიანტელში, ერთკვირიანი შესვენება გამოაცხადა.**

ინფორმაციის ეპოქაში ყველასთვის ცნობილია სიტყვის მნიშვნელობა. ის სახელმწიფოებს აძმობილებს, დაძმობილებულებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჰკიდებს ერთმანეთს. ქართულ-რუსულ გაუცხოებაში პოლიტიკოსებთან ერთად თავისი წვლილი შეაქვს ჟურნალისტიკას. საქართველოს ჟურნალისტიკა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ბეჯითად ასრულებდა ხელისუფლების დავალებას, თანაც უაღრესად არაპროფესიონალურად, უვიცად. ამ საქმეში ის არ თაკილობს სხვისი ნათქვამის გაყალბებას, ფაქტების დამახინჯებას. ამ ამხრივ პირველობას ვერავინ შეეცილება სამივე „რუსთავს", დასტურად ვარშავა, ბრიუსელი, ლისაბონი, სტრასბურგი კმარა. ეს ის ქალაქებია, სადაც პატივცემულმა სააკაშვილმა და ქართულმა დიპლომატიამ „ტრიუმფალურ" წარმატებას მიაღწია. ასე გვაუწყებდა მედია, იმისი მტკიცებით იმავე ქალაქებში „ტრიუმფალური" მარცხი იგემა მტარვალმა რუსეთმა, ქართული დიპლომატის მიერ სასიკვდილოდ განგმირულმა. ქართულ მედიას ხმას აყოლებდა საქართველოს ხელისუფალთა მიერ დაქირავებული უცხოელი ჟურნალისტებიც.

აღნიშნულ ქალაქებში პატ.მიხეილის მიერ იმდენი აუგი სიტყვა ითქვა რუსეთის მიმართ, რომ „აგრესია" და „ოკუპაციაც" ფერმკრთალდება. დასავლეთით ზურგგამაგრებულმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ქოქოლა დააყარა მსოფლიოში გარკვეული წონის მქონე რუსეთს. რუსეთი რომ ავტორიტეტით სარგებლობს თანამედროვე მსოფლიოში — ნაკლებად სადავოა. თუ რით არის შექმნილი ეს ავტორიტეტი — „შიში შეიქმს სიყვარულსა" თუ სხვა რამით, სხვა საქმეა. ნატოს ორდღიანი სამიტიდან, ერთი, რომ ნატო-რუსეთს დაეთმობა, რაღაცის მანიშნებელი მაინც უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის, მაგრამ არა!

სააკაშვილის ევროპული ვოიაჟი სხვა რამით უფრო იყო აღსანიშნავი, თუმცა ამის თაობაზე პრინტი არავის დაუძრავს. იქ მან ულტიმატუმის დონეზე თქვა ის, რაც თქვა ყოფილ ავტონომიებთან და რუსეთთან მიმართებაში. სააკაშვილი ევროპას დაპირდა მშვიდობიან ურთიერთობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, მაგრამ „ოკუპანტთან"? ისე, როგორც ყოველთვის, სააკაშვილმა ოკუპანტად მოიხსენია რუსეთი და თუ ის ოკუპანტია, სააკაშვილს უფლება აქვს იარაღით გათავისუფლდეს ასეთისგან. **უნდოდა თუ არა სააკაშვილს სამშვიდობო გარანტიების გაცემა? ცხადია არა! ის, ვერც ოკუპანტს იტანს და ვერც მის „მარიონეტებს. „მარიონეტებთან" სააკაშვილი მზად არის მშვიდობისთვის. ოკუპანტთან? ეს კითხვა გაუცემელი რჩება. ერთი კი თქვა სააკაშვილმა, რომ ის მზად არის რუსეთთან სალაპარაკოდ. ძნელია გამოიცნო სააკაშვილის სლალომური აზროვნება, მაგრამ მისი და მისი გარემოცვის ქმედებიდან გამომდინარე სრულიად საწინააღმდეგო აზრი გაგიჩნდება.**



რუსეთისთვის მშვიდობის ხელის გამწვდენი სააკაშვილი სტრასბურგიდან კიშინოვს ეწვია, მოლდოვის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის გიმპუს საპარლამენტო არჩევნებში მხარის დასაჭერად. გიმპუ პირწავარდნილი ანტირუსია. იმავე დროს თბილისში გაიმართა ჩერქეზი ხალხისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომლის მოთავე საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად აშშ-ს ჯეიმსთაუნის ფონდია. მიზანი მე-19 საუკუნეში ჩერქეზი ხალხის მიმართ რუსეთის იმპერიის ძალადობის აღიარებაა და არა მარტო მის, არამედ კავკასიელთა წინააღმდეგ. შემუშავდა დოკუმენტიც ჩერქეზთა გენოციდის თაობაზე, რომელიც უდავოდ განიხილება საქართველოს პარლამენტში. სააკაშვილის ხელისუფლება შემდეგ დატვირთვას აძლევს კონფერენციას — **პირველი, რომ ოლიმპიური თამაშები იმ ადგილას ტარდება, სადაც ცხოვრობდნენ ჩერქეზები და მეორე, სოჭის ოლიმპიადა საქართველოს წართმეული აფხაზეთის გვერდით ტარდება. საქართველო მოუწოდებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სხვაგან გადაიტანოს ოლიმპიური თამაშები. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთმა მხარი დაუჭირა საქართველოში 2015 წელს ახალგაზრდული თამაშების ჩატარების წინადადებას.**

სხვას რომ თავი დავანებოთ, რუსეთს ექნება სურვილი ამ ორი ფაქტის შემდეგ დაელაპარაკოს სააკაშვილს? ძნელი დასაჯერებელია.

სააკაშვილმა კოჭი გაუგორა ეშტონს, ბაროზუს, მაგრამ საქმით აკეთებს და გააკეთებს იმას, რასაც 7 წლის განმავლობაში აკეთებდა. **სააკაშვილს არ სურს რუსეთთან საუბარი, ვინაიდან სათქმელიც არაფერი აქვს. ამიტომაც გაჰყვირის — ლაპარაკი მინდაო, დარწმუნებულია, რომ ამას ადგილი არ ექნება.**

მოსკოვმა ისე შეაფასა სააკაშვილის გამოსვლა, როგორც უნდა შეეფასებინა — თავდაუსხმელობას ორივე ახალ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადება სჭირდებაო. სააკაშვილის ხელმოწერას არავინ ენდობა, მითუმეტეს სტრასბურგში გაკეთებულ ეკლექტურ განცხადებას. დალაპარაკების მსურველი სხვაგვარად მოიქცეოდა. უპირველეს ყოვლისა, შეურაცხმყოფელ ლაქლაქზე ხელს მაინც აიღებდა.

საქართველოს გაერთიანების შანსი ჰქონდა სააკაშვილს თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში. მაშინ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შეეძლოთ კონფედერაციაზე ფიქრი, მაგრამ სააკაშვილის ავანტურისტულმა ბუნებამ უარყო სოხუმ-ცხინვალთა შემრიგებლური ლაპარაკი და ძალაზე გააკეთა აქცენტი, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აჭარასთან მიმართებაში. აჭარის „დაბრუნება" ცუდი მაგალითი გამოდგა აფხაზებისა და ოსებისთვის. ისე კაცმა რომ თქვას, რად უნდა სააკაშვილს დაბრუნებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი? მეზობლისთვის მისაყიდად? ისე, როგორც ამას ადგილი აქვს აჭარაში? გაივლის დრო და დარწმუნებული ვარ საქმიდან და რეალობიდან გამომდინარე, აჭარა თურქეთის იქნება, ცხადია დღევანდელთა ხვალ პარპაშის შემთხვევაში.

რუსეთთან დიალოგის მსურველი ნამდვილად არ დააჭერდა მას კოჭზე ფეხს. ასეთად რუსეთისთვის ჩრდილოეთ კავკასიაა, არ გააკეთებდა განცხადებებს კავკასიის სახლთან, კონფედერაციასთან, ჩერქეზებთან დაკავშირებით. კავკასიასთან მიმართებაში სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები სიტყვა-სიტყვაში ჯდება ალ ქაიდას მოსაზრებასთან. 2007 წლიდან დაწყებული ზოგიერთი ინტერნეტრესურსი, რომელიც საერთაშორისო ისლამისტურ მოძრაობას ემსახურება, სულ უფრო დიდ ყურადღებას აქცევს ჩრდილო კავკასიას. რადიკალური საიტები აკრიტიკებენ მუსლიმანებს ჩეჩნეთის „დავიწყებისთვის". საიტები მათ ჯიჰადისკენ მოუწოდებენ. ბევრი იბეჭდება კავკასიის ისლამისტებზე" და მის ლიდერ დოკუ უმაროვზე, საიტების მიხედვით ჩრდილო კავკასიის ომი ავღანეთისას უტოლდება. **ალ ქაიდას მეორე პირი აიმან აზ ზავაჰერი წერს, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი შეიძლება გადაიქცეს სტრატეგიულ წერტილად მსოფლიო ჯიჰადისტურ მოძრაობაში. თუ ჩეჩენი მოჯაჰედები და კავკასიის ისლამის მეომრები მიაღწევენ კასპიის ზღვის ნავთობით მდიდარ სანაპიროებამდე, მხოლოდ ნეიტრალური თურქმენეთი დააშორებს მათ ავღანეთისგან. ამით რუსეთისთვის შეიქმნება „სამხრეთის ისლამური სარტყელი", რომელიც აღმოსავლეთით დაუკავშირდება პაკისტანს, სამხრეთით ირანსა და თურქეთს, რომლებიც სიმპათიებით არიან განმსჭვალულნი ცენტრალური აზიის ქვეყნების მოსახლეობის მიმართ. ყოველივე აღნიშნული მოარღვევს იმ ბარიერს, რომელიც ერთმანეთს აშორებს კავკასიის მუსლიმანებს მსოფლიო მუსლიმანებისგან. მუსლიმანური კავკასიის გათავისუფლება გამოიწვევს რუსეთის დაშლას, გაააქტიურებს ჯიჰადურ მოძრაობას უზბეკეთსა და ტაჯიკეთში, რომლებიც რუსეთიდან იღებენ ფინანსურ დახმარებას მოჯაჰიდთა წინააღმდეგ ბრძოლაში.**

**„არის თუ არა შარიათით გამართლებული მუსლიმანების მონაწილეობა სოჭის ოლიმპიურ თამაშებში, ქალაქში, რომელშიც წინათ მუსლიმანი ჩერქეზები ცხოვრობდნენ, განდევნილი რუსეთის იმპერიის მიერ მე-19 საუკუნეში? — ასეთი კითხვით მიმართავს ყაბარდო-ბალყარეთის „ჯამაათ იარმუკის" ყოფილი ლიდერი ანზორ ასტამიროვი (სეიფულა) იორდანიაში მყოფ სულიერ მამებს. პასუხი მარტივია — არა!**

ალ ქაიდას როლი ჩრდილო კავკასიაში გამოიხატება ადგილობრივ მოსახლეობაში ჯიჰადის იდეების გავრცელებაში, ქაოსის მოწყობაში, ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობის დარაზმვაში და სხვ.

**ექსტრემისტული ისლამი, ნეგატიურად აღქმული თვით ისლამის სამყაროში, რატომღაც გარკვეული სიმპათიებით სარგებლობს საქართველოს ხელისუფლებაში, რატომღაც ექსტრემისტთა გეგმები ემთხვევა ჩვენს ხელისუფალთა გეგმებს — განსაკუთრებით კავკასიური სახლისა და კონფედერაციის შექმნაში, სოჭის ოლიმპიური თამაშების წინააღმდეგ ამხედრებაში, ჩერქეზთა მიმართ ქმედითი ღონისძიებების გატარებაში და სხვ. ისე არ დაგვემართოს — ვაის გავეყარე, უის შევეყარეო.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

აზრა კვლავ სხვაა, საქმე — სხვა!

# წადით, თქვენი დედაცო, ხალხნო!

(მესამე გვერდიდან)

საჭიროა ამის მერე რაიმეს თქმა და რამენაირი კომენტარი, პატივცემულო მკითხველო?

**ამას აკეთებს** (პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს!ძ, **შიდა ქართლის გუბერნატორი კი არა, მე თუ მკითხავთ, გუბერნატორად მომუშავე ლადო ვარძელაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომიდან ხუთიოდ თვის შემდეგ.**

დიახ, სწორედაც რომ, გუბერნატორად მომუშავე და არა გუბერნატორი, თორემ **ომით ყველაზე მეტად დანგრეული და გაუბედურებული მხარის ჭეშმარიტი ხელმძღვანელი, მხარისა, რომლის მთავარი ქალაქი და მისი მიმდებარე სოფლები დაუნდობლად იყო დაბომბილ-განადგურებულ-დაცარიელებული, ამდენი გაჭირვებული და დევნილი ადამიანის შემხედვარე, იმის უფლებას მისცემდა თავის თავს, რომ თავისივე განკარგულებით, ყოველთვიურად ხელფასისოდენა პრემიაც ჩაეჯიბა?**

**ამაზე მეტი უნამუსობა და ხალხის დაცინვა იქნება?**

თანაც ნახეთ, როგორ ირონიულად ჟღერს განკარგულების ბოლო პუნქტი: თუ ამ დოკუმენტში ვინმეს რამე არ მოგეწონებათ, შეგიძლიათ „თლათ ზევით" გაასაჩივროთ, ან თუნდაც გორის სასამართლოში.

**მოკლედ, აქაც ისეა, ნათქვამი რომ არის: ვის უჩივი და, — ბატონსო, ვისთან უჩივი და, — ბატონთანო.**

თუ შენსავე საჩივარში გახვეული აგური თავზე არ დაგაფშვნეს ინტრიგნობისთვის, მადლობელი უნდა იყო!

ჰოდა, კვლავ ვიმეორებ, ღირს ამის მერე რაიმეს თქმა?

**ალბათ, მხოლოდ ერთის. კონკრეტულად იმის, რომ, სამწუხაროდ, ასეთი ლადო ვარძელაშვილებითაა სავსე მთელი ხელისუფლება!**

ამიტომაც, ამის გათვალისწინებით, კიდევ კარგად არის ჩვენი საქმე!

თუმცა ერთი რამ უთუოდ უნდა ვთქვა ჩვენი „მომჭირნე" ხელისუფლების გასაგონად.

**ზემოთ მოგახსენეთ, რაც მოიმოქმედა პრეზიდენტმა ობამამ 2008 წელს სახსრების დაზოგვის მიზნით. ამ დღეებში კი მას გამოუცია ახალი განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით და მოსახლეობის ყოფის რამდენადმე შემსუბუქება-გაუმჯობესების მიზნით, ამერიკის ნებისმიერ საჯარო მოხელეს აეკრძალა ხელფასის ყოველგვარი დანამატის, პრემია იქნება იგი, მატერიალური დახმარება თუ სხვა რამ, მიღება.**

ამ გზითო, ამბობენ ამერიკაში, უახლოეს ხუთ წელიწადში ამერიკის ბიუჯეტს 35 მილიარდი დოლარი დაეზოგებაო!

**ნახეთ, ადამიანებო, რა ხდება ამერიკაში?**

ჩვენთან?

ჩვენთან რაც ხდებოდა და კვლავაც გაგრძელდება (დიახ, გაგრძელდება, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ეს ხელისუფლების მიერ მარტო საჯარო მოხელეების კი არა, საარჩევნოდ მთელი მათი საახლობლო-სანათესაოს მოსყიდვა-მოქრთამვის აპრობირებული მეთოდია!ძ, ვხედავთ, ხოლო უფრო უარესის მოწმენი უკვე გავხდით:

**ხელისუფლება სულაც არ ფიქრობს ქამრის შემოჭერას (თავის თავს ხომ არ დააზარალებს!), ან რაში სჭირდება ეს? აგერ არა ვართ ჩვენ, ხალხი, ცხვარივით მორჩილი და მორიდებითღა „მოკიკინე"?**

**ჰოდა, გაუჭირდება ბიუჯეტს? გააძვირებს წყალს!**

**თუ მეტი შემოსავლის მიღების საჭიროება დადგება დღის წესრიგში, გააძვირებს საზოგადოებრივი ტრანსპოტით მგზავრობის ღირებულებას (საწყის ეტაპზე — მხოლოდ 10 თეთრით)!**

**კიდევ უფრო გაუჭირდება ბიუჯეტს? აგერ არ არის დენი და გაზი, რომელთა ღირებულების გაძვირებას ახალი წლიდან აპირებენ?**

***აბა, რა ქნას ხელისუფლებამ? ერთი ქართული მულტფილმის პერსონაჟი ლომისა არ იყოს, კატის ნაცვლად, თავის შვილს ხომ არ დასჯის, ანუ თავის საოჯახო ბიუჯეტს ხომ არ გააღარიბებს?***

***უარესის ღირსნი ვართ, ასეთ გაუმაძღარ, ერთდროულად ДО და ფულიყლაპია ხელისუფალთ რომ ვითმენთ!***

***თუმცა ეს უკანასკნელნიც ნუ იქნებიან მეტისმეტად გულარხეინნი: მოთმინების სუსტი ძაფი კი არა, ზოგჯერ საგულდაგულოდ ნაქსოვ-გასანთლული თოკიც წყდება!***

***დაბოლოს: პრემიერის თუ ფინანსთა მინისტრის კი არა, „თლა უფროსის" ნათქვამსაც რომ არ დაეჯერება, ისეთ ქვეყანაში ხალხისთვის რაიმე სასიკეთო გაკეთდება?***

***მეტი არაა ჩემი მტერი!***

*რუსლან რუსია*

◉ ვაი მთავრობისგან!

# წყალს და ტრანსპორტს ცეცხლი წაეკიდა

## ხელისუფლების მიერ თბილისელებისთვის მომზადებული წინასაახალწლო საჩუქრები

**1 დეკემბრიდან თბილისელებს წყალმომარაგების საფასურის გაზრდილი ტარიფით გადახდა მოუწევთ.**

**სემეკის გადაწყვეტილებით, წყალმომარაგების ახალი ტარიფი ერთ სულზე 3 ლარითა და 15 თეთრით განისაზღვრა, თუმცა მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელსაც წყალი გრაფიკით მიეწოდება, გაუმართლა და გიგი უგულავას „წყალობით“, ძველი ტარიფი – 2 ლარი 40 თეთრი შეუნარჩუნდება.**

წყლის ტარიფის გაზრდა ხელისუფლების ერთადერთი „საპირველდეკემბრო“ სიურპრიზი არაა: თუ ადრე ზოგიერთი თბილისელი წყლის საფასურის გადახდას თავს არიდებდა, ამიერიდან იგი ამას ვეღარ მოახერხებს: „ბუნებრივი აირისა და ენერგეტიკის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, 1 დეკემბრიდან წყლის, დასუფთავების და ელექტროენერგიის გადასახადების გადახდის ერთიანი სისტემა ამოქმედდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისელებს წყლისა და დასუფთავების გადასახადების არგადახდის შემთხვევაში ელექტროენერგიას „ჩაუჭრიან“.

**სემეკი** კომუნალური გადასახადების ერთიანი სისტემის შემოღებას „ჰარმონიზაციის“ მიზნით ხსნის, ხოლო წყლის მომწოდებელი კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მოთხოვნას საფასურის გაზრდის თაობაზე – კომპანიის უფლებამოსილებით და მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით.

„წყლის მიმწოდებელ კომპანიას – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ტარიფის გაზრდის კანონით გათვალისწინებული უფლება აქვს და მან ეს უფლება გამოიყენა, **სემეკ**-მა კი, თავის მხრივ, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შეისწავლა და ტარიფის გაზრდის საფუძვლიანობას დაეთანხმა“, – განუცხადა „პირველს“ **სემეკ**-ის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა და თბილისელები იმით „დაამშვიდა“, რომ 2015 წლამდე ტარიფი აღარ გაიზრდება.

იმის გარკვევას, კონკრეტულად რა ხარჯების გაზრდის გამო გააძვირა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ წყლის საფასური, „პირველი“ კომპანიის გენერალურ დირექტორთან იორგ მათისთან შეეცადა.

მათისის მტკიცებით, მომსახურების ტარიფის ზრდის მიზეზი „კომპანიის მხრიდან გაწეული ყველა გონივრული ხარჯის დაფარვაა“.

„მომსახურების ტარიფი კომპანიის მხრიდან გაწეული ყველა გონივრული ხარჯის დაფარვის საშუალებას უნდა იძლეოდეს. თუ ეს ასე არ იქნა, კომპანია ვერც განვითარებას, ვერც საუკეთესო მომსახურების გაწევას და ვერც დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნების დაცვას შეძლებს. როგორც საზოგადოებისთვისაა ცნობილი, ჩვენს კომპანიას გარკვეული ვალდებულებები აქვს აღებული, კერძოდ, ვზრუნავთ წყალმომარაგებისა და წყალარინების ობიექტების რეკონსტრუქცია-მოდერნიზებაზე, ქსელების რეაბილიტაცია-განვითარებაზე, რისთვისაც დიდ ინვესტიციებს ვახორციელებთ. გარდა ამისა, 2012 წლის ბოლომდე თბილისის ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში, ხოლო 2015 წლის ბოლომდე ახალ ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რის მიღწევასაც ასევე მსხვილი ინვესტიციები ხმარდება. ახალი ტარიფის დადგენისას სწორედ ეს იქნა გათვალისწინებული“, – აღნიშნა მათისმა და წყლის ტარიფის ზრდის კიდევ ერთ მიზეზად პროექტის „მტკვარი ჩამდინარე წყლების გარეშე“ განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიციები დაასახელა.

„ჩვენ დაწყებული გვაქვს მასშტაბური პროექტი – „მტკვარი ჩამდინარე წყლების გარეშე“, რაც ასევე წყალარინების სისტემების მასშტაბურ მოდერნიზაციას და სოლიდურ ინვესტიციებს მოითხოვს. ყველა გაწეული და ეკონომიკურად გამართლებული ხარჯი ტარიფში უნდა აისახოს, სხვაგვარად კომპანიას განვითარების საშუალება მოესპობა და ვერც მზარდი და განვითარებადი ქალაქის და ვერც მისი მოსახლეობის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს“, – დასძინა მათისმა.

რაც შეეხება იმას, ითვალისწინებდა თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება ტარიფის გაზრდას და განსაზღვრულია თუ არა ზედა ზღვარი, მათისის მტკიცებით, წყლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების თანახმად ხორციელდება.

◉ კარიკატურა თემაში




ამირან ერაძის ნახატი

„პირველი“ ასევე შეეცადა, გაერკვია, რა თანხას ხარჯავს კომპანია წლის განმავლობაში თბილისის წყალმომარაგებაზე და რამდენია ერთი სული მოსახლის მიერ თვის განმავლობაში მოხმარებული წყლის თვითღირებულება, თუმცა „კომერციული საიდუმლოების“ მოტივით ეს ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

„შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ კერძო სამართლის იურიდიული პირია, ხოლო თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. შესაბამისად, კომპანიას არ აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გასცეს“, – განუცხადეს „პირველს“ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“.

თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი თინა ხიდაშელი კი, რომელსაც თბილისის მერიასა და კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება არაოფიციალური გზით აქვს მოპოვებული, აცხადებს, რომ კომპანიას ტარიფის გაზრდის უფლება „თბილისის წყლის“ შეძენიდან ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ძველი თბილისის საზღვრებში 24-საათიან წყალმომარაგებას უზრუნველყოფდა, წყლის ხარისხს გააუმჯობესებდა და მილებს გამოცვლიდა, რაც არ განხორციელებულა. ამასთან, მისივე ინფორმაციით, 5 წლის შემდეგ წყალმომარაგების კომპანიას ტარიფად 5,47 თეთრის დადგენის უფლებამოსილება გააჩნდა. შესაბამისად, ხიდაშელის ვარაუდით, ან საქმე გვაქვს ხელშეკრულების პირობების გადახედვასთან, ან დაპირება, რომ წყლის ტარიფი 2015 წლამდე აღარ შეიცვლება, მორიგი ფარსია.

ხელისუფლების კიდევ ერთი წინასაახალწლო სიურპრიზი 6 დეკემბრიდან შევა ძალაში და იმაში მდგომარეობს, რომ მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასური 10 თეთრით, 50 თეთრამდე იზრდება. დედაქალაქის მერიის აღნიშნული ინიციატივა თბილისის საკრებულომ გუშინ დაამტკიცა.

„დაახლოებით 600 ათასი (თბილისის მოსახლეობის 50%-ძ ადამიანისთვის, რომლებიც შეღავათებით სარგებლობენ, ტრანსპორტის მგზავრობის საფასური იგივე რჩება. რაც შეეხება დანარჩენ 50%-ს, მათგან 6%-ისთვის, ანუ მათთვის, ვინც მუნიციპალური ტრანსპორტით რეგულარულად არ სარგებლობს და არც პლასტიკური ბარათები გააჩნია, მგზავრობის საფასური 50 თეთრი ხდება“, – განმარტა თბილისის სატრანსპორტო სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ და დასძინა, რომ დარჩენილი 44%, რომელიც მუნიციპალური ტრანსპორტით რეგულარულად სარგებლობს, პირველ მგზავრობაზე ასევე 50 თეთრს გადაიხდის, თუმცა უკვე მეორე და მესამე მგზავრობაზე – 30-20 თეთრს.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირებას როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე ექსპერტები უარყოფითად აფასებენ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში შოთა მურღულია მგზავრობის საფასურის გაზრდის მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ „ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება არგუმენტებით უნდა გაამყაროს“.

„როდესაც ხელისუფლება მოსახლეობისთვის ესოდენ მტკივნეულ გადაწყვეტილებას იღებს, მან ის აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, კერძოდ, შესაბამისი დაანგარიშებები წარმოადგინოს. ამასთან დაანგარიშების მეთოდოლოგია გამჭვირვალე უნდა იყოს“, – განუცხადა „პირველს“ მურღულიამ და იქვე დასძინა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი ყველა ქალაქში დოტაციურია.

**თელარა გელანტია.**

◉ დედაქალაქი

# მხრჩოლავ კვამლში გახვეული...

## როცა საქმე ნაგავთან გვაქვს

***როგორც ჩანს, ნორიოელებსა და მარტყოფელებს მათ სოფლებთან ახლოს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებთან დაკავშირებით სადარდებელი არ ელევათ. ჯერ იყო და საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელ საცხენისთან რადიოაქტიურ ნარჩენთა სარკოფაგი მოაწყო, რის შედეგად მიმდებარე რაიონებში მკვეთრად იმატა ონკოლოგიურ და სხვა სახეობათა დაავადებების რიცხვმა. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას და პროტესტს გამოთქვამდა, რომელიც უფრო მეტად გამძაფრდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მაგრამ მაშინ ეროვნულ ხელისუფლებას აბა ვინ დააცალა... ახლა კი, როგორც ცნობილია, თბილისის გლდანის რაიონში მდებარე ნაგავსაყრელი ნორიოსა და მარტყოფის შემოგარენში გადააქვთ, სადაც ნაგვის გადამმუშავებელ ქარხანას ააგებენ.***

თქმა არ უნდა, გლდანის ნაგავსაყრელი, სადაც 24 საათის განმავლობაში ათასობით ტონა ნაგავი ხრჩოლავს და გარემოს მავნე გაზით აბინძურებს, რითაც ადამიანთა ჯანმრთელობას უკიდურეს საფრთხეს უქმნის, დიდი ხანია მიხედვას საჭიროებს. თანაც, დაუხარისხებელი ნაგავი რომ იწვის, იგი მეთანს გამოყოფს, რომელიც, შემდგომ, თავის მხრივ, წვას უწყობს ხელს, ამდენად წვის პროცესი სრულიად უმართავია. საქმის თუნდაც რაღაც კალაპოტში ჩასაყენებლად, ვიღაც „ჭკვიანმა“ ადრე ალმოდებულ ნაგავზე ქვიშის დაყრა „მოიფიქრა“, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა: ქვიშა ჟანგბადის შემცველ ჰაერს მაინც ატარებს, ოღონდ შედარებით ნაკლებად, ამდენად, ნაგვის ხრჩოლვის პროცესი, ფაქტობრივად, „უსასრულობაში“ გადავიდა. ამასთან, ღია ნაგავსაყრელზე გამავალი ატმოსფერული ნალექები უკიდურესად აბინძურებენ გრუნტის წყლებს, ნიადაგს და ამ სავალალო შედეგის აღმოფხვრას ათწლეულები დასჭირდება.

მდგომარეობიდან გამოსასვლელად, პირველ ყოვლისა, საჭიროა საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება, რაც საქართველოში ჩანასახოვან მდგომარეობაშიც არ არის, ქუჩების ბუნკერებში მძქძავ ჩვენს უბედურ თანამემამულეებს თუ არ ჩავთვლით, რომელთაგან ზოგი საჭმელს დაეძებს, ზოგი ფერად ლითონებს, ზოგიც ბოთლებს. სიტყვამ მოიტანა და ნახმარ ბოთლებთან დაკავშირებით ერთ საგულისხმო ამბავს გიამბობთ, რომელიც გერმანიაში ყოფნის დროს ალბათ ბევრ თქვენგანს შეუმჩნევია, პატივცემულო მკითხველო. გერმანელები ლუდს დიდი ოდენობით რომ სვამენ, კარგადაა ცნობილი. ჰოდა, ლუდის ცარიელი ბოთლებისთვის ქუჩებში ყვითელ-მწვანედ შეღებილი ორგანყოფილებიანი კონტეინერები დგას შესაბამისი ფერის მინის ტარის ჩასაგდებად. გერმანიიდან ჩამოსულმა მეგობარმა ერთ ასეთ კონტეინერთან გადაღებული საგულისხმო ფოტო ჩამოიტანა: მასთან ერთობ დაბნეული კაცი დგას, რომელიც ლურჯი ფერის ცარიელი ლუდის ბოთლს ზედ ყვითელ-მწვანე სალებავების საზღვარზე დგამს – როგორც ჩანს ვერ გადაწყვიტა, ლურჯი ფერის ბოთლი უფრო „ყვითლებისა“ იყო, თუ „მწვანეების“.

ამგვარ სკრუპულოზურობაზე, ცხადია, ჯერჯერობით ლაპარაკი არ არის, მაგრამ საყოფაცხოვრებო ნაგავს გარკვეული, თავდაპირველად თუნდაც უხეში დახარისხება რომ სჭირდება, ეჭვგარეშეა. მეორე საკითხია, ამ დახარისხებული ნაგვის მასის განადგურება, რომელიც გარემოსთან შეუხებლად, წყალგაუმტარ სარკოფაგებში უნდა ხდებოდეს. მიღებული გადაწყვეტილებით, როგორც აღვნიშნეთ, სოფლების – ნორიოსა და მარტყოფის მახლობლად ნაგვის გადამმუშავებელი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხნის მშენებლობაა დაგეგმილი, თუმცა ეს გადაწყვეტილება ადგილობრივ მოსახლეობაში უკიდურეს პროტესტს იწვევს და, როგორც იქაურები აცხადებენ, ხალხი ისტორიულ ადგილზე, მათი საცხოვრისების მახლობლად ნაგვის გადამმუშავებელი ქარხნის აშენების უფლებას ხელისუფლებას არ მისცემს.

ამასთან, მერიას ამ პრობლემის გადაჭრის საკუთარი ხედვა აქვს და დასახული გეგმის შეცვლას არ აპირებს, რასაც შესაბამისი სამსახურის განცხადება მოწმობს. მის თანახმად, თბილისის სანაგვეს საკითხი მიმდინარე წლის დამლევისთვის გადაწყდება. სადღეისოდ არსებულ დიდ თუ მცირე ნაგავსაყრელებს ევროპული სტანდარტების შესაბამისი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, უგამონაბოლქვო ნაგვის გადამმუშავებელი ქარხანა ჩაანაცვლებს. რაც შეეხება ქარხნის ასაშენებელ ადგილს, მას რამდენიმე იქაური მოსახლე ფლობდა, მაგრამ თბილისის მერიამ, მათთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, სანაცვლოდ სხვა მიწები გადასცა (აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ რაიმე დამატებითი ფულადი კომპენსაციის თაობაზე ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათძ.

ნორიოს ნაგვის გადამმუშავებელი ქარხანა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებენ, დედაქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურის განკარგულებაში იქნება. გლდანის ამჟამინდელი ნაგავსაყრელის ტერიტორია კი სამომავლოდ მწვანე ზონის შექმნის ადგილად გამოცხადდა, სადაც პირველი ხე თავად თბილისის მერმა თავისი ხელით დარგო.

ამდენად, როგორც აღვნიშნეთ, წლის მიწურულიდან დედაქალაქის საყოფაცხოვრებო ნაგავს დაწვის მაგივრად გადაამუშავებენ, თუმცა რა მეთოდებით განხორციელდება პროცესი, ჯერჯერობით უცნობია, რადგან იმ ქვეყნებში, სადაც ნაგავს უბრალოდ კი არ ყრიან, არამედ გადაამუშავებენ, როგორც ზემოთ მოყვანილი გერმანიაში ლუდის ბოთლების მაგალითი მოწმობს, პირველად დახარისხებას თავად მოქალაქეები ახდენენ, ნაგავი ქარხნამდე მიტანამდე მეტ-ნაკლებად დახარისხებული უნდა იყოს, რისთვისაც სხვადასხვა სახეობის ნაგვისთვის ცალ-ცალკე ბუნკერები უნდა იყოს გამოყოფილი. ასევე განცალკევებულად უნდა მოხდეს სხვადასხვა ხარისხის ნაგვის ტრანსპორტირება და გადასამუშავებლად მიღებაც. მსგავსი რამ კი, რამდენადაც ცნობილია, ჩვენში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

ნეტავ დედაქალაქის მამებმა მაინც თუ იციან ამის შესახებ?

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნორიოს ნაგვის გადამმუშავებელი ქარხნის მომავალი ისევ გლდანის მხრჩოლავი ნაგავსაყრელის კვამლში გახვეული ჩანს, რომელიც პერსპექტივას ერთობ ირეალურს ხდის.

**ოთარ ტურაბელიძე**

გამოძახილი

# „ერთხელ დაიჭრა ბიჭი, ორჯერ დაიჭრა! აღარა კმარა?“

## ანუ ვინც საზოგადოებას ამუნათებთ, პირში წყალი გამოივლეთ!

**ალბათ, გეცნაურათ სათაურის პირველი ნაწილი, გოდერძი მახარაშვილის დედის ჩივილი. რა შუაშია ეს? შუაში კი არა, როგორც იტყვიან თავშია, რადგანაც საზოგადოების, ხალხის მორიგი იმედგაცრუების ფონზე, იმავე ხალხის დამუნათების, დადანაშაულების ტენდენციები გაჩნდა ზოგიერთ ქართულ გაზეთში: უარესის ღირსები არიან, რატომ არ მოვიდნენ 25 ნოემბერს იმაზე მეტი, რაც მივიდა, მშიშრები, 20 ლარად „გაყიდული“ და ა. შ. მსგავსი ეპითეტების გახსენება, კიდევ ბევრის შეიძლება.**

რა უნდა თქვას კაცმა, ერთი შეხედვით ამ რკინისებური არგუმენტების საპირწონედ? მოკლედ თუ ვიტყვით – ხალხი, საზოგადოება არ შეიძლება მტყუანი იყოს, ის ყოველთვის მართალია! მით უმეტეს ამ მართლაც არა ერთხელ და ორჯერ გაფარჩაკებული ოპოზიციის ფონზე.

ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ ეს „ყველას არ ვგულისხმობ“, იმდენად მიზერული პროცენტია, რომ ზოგადად ასე თქმა ნამდვილად შეიძლება.

არადა რა ქნას ამ საწყალმა საზოგადოებამ თუ ხალხმა? გოდერძი მახარაშვილი თუ ორჯერ დაიჭრა, რამდენჯერ დარჩა თავგანწირვისთვის მზად მყოფი ხალხი გაწბილებული, მოტყუებული და სულში ჩაფურთხებული?

მინიმუმ სამჯერ! პირველად იპოდრომზე, როდესაც 300 ათასი გამოვიდა იმ ყიამეთში, მეორედ 100 თუ ოდნავ მეტი ათასი და მესამედ შარშან 26 მაისს გაჭედილ ეროვნულ სტადიონზე. ამიტომ, ახლა 25 ნოემბერს, პირადად მე, იმასაც არ ველოდი, რამდენიც მოვიდა და ბარაქალა ჩვენს ხალხს თუ 25-30 ათას კაცს კიდევ სჯერდა ამ ოპოზიციის.

**ზემოთ ხალხის თავგანწირვისთვის მზადყოფნა ვახსენე და ახლა აქედან გამომდინარე თუ მასთან „მიმდინარე“ თეზის შესახებ, რომ ქართველი ხალხი, საზოგადოება სულსწრაფია და ყველაფრის დამთავრებას მყისიერად, იმ დღესვე მოითხოვს. თეზას, რომელსაც მას მერე ამკვიდრებს და ანვითარებს ის ოპოზიცია, რომელიც ერთის მხრივ ქუდზე კაცს უხმობს ქუჩაში და მეორეს მხრივ, როცა ეს „ქუდზე კაცი“ გამოვა, ბრინჯივით იბნევა, გადაწყვეტილებას ვერ იღებს, უფრო სწორედ იღებს აზვირთებული ხალხის სახლში გაშვებისას და ამ ფონზე ხალხის სულსწრაფობაზე აპელირება, საკუთარი თავგანწირვის უუნარობის ცუდად შენიღბვაა და სხვა არაფერი.**

მაგრამ მოდით ერთის წუთით დავუშვათ, ავყვეთ ოპოზიციურ რიტორიკას და იმას, რასაც მე თავგანწირვა ვუწოდე, მართლაც სულსწრაფობაა. ეს ვარიანტიც განვიხილოთ, ანუ თუ ხალხის კრიტიკულ მასას რომელიმე სტრატეგიული ობიექტისკენ დაძრავენ და რაიმე ექსცესი მოხდება, ანუ, პირდაპირ ვთქვათ, რომ დიდი ალბათობით სისხლი დაიღვრება, ამ შემთხვევაში ზოგიერთ ოპოზიციურ ლიდერს ეს რეჟიმი „სუფთა სინდისით“ ციხეში ჩააყუდებს.

**სისხლის, თუნდაც ერთი წვეთის დაღვრა, ამ რეჟიმის უსწრაფესი დასასრულის დასაწყისი იქნება, მაგრამ არა იმდენად უსწრაფესის, რომ საააკაშვილი მეორე დღესვე გაიქცევა, რადგანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მერაბიშვილ-ადეიშვილ-ახალაიების ძალოვანები ინერციით მაინც იმუშავებენ და ამ ინერციამ შეიძლება რამდენიმე კვირა თუ თვე „გაქაჩოს“ და რამდენსაც გაქაჩავენ, ზუსტად იმდენ ხანს მოუწევთ ოპოზიციურ ლიდერებს შავი ჯიპების თუ ფეშენკაბინეტების ნაცვლად, ციხის საკნებში ჯდომა.**

### რატომ არის ხალხი სულსწრაფი?

**მოკლედ თუ ვიტყვით იმიტომ, რომ პოლიციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ! ანუ, საპროტესტო აქციაზე უბრალოდ მისვლაც კი, უსაფრთხო არ არის იქ მიმსვლელი რიგითი ადამიანისთვის – თუ იქვე, აქციის ახლო-მახლო არ სტაცეს ხელი, დიდი ალბათობაა იმისა, რომ „ხვალ-ზეგ“ სახლში მიაკითხავენ. ამის მაგალითები უხვადაა.**

სხვა, ობიექტური მიზეზების გარდა, რაც სააკაშვილის რეჟიმის სწრაფად დასრულების სურვილს იწვევს ერთი სუბიექტური მიზეზიც, საკუთარი უსაფრთხოებაც არის. რადგანაც საზოგადოების, ხალხის ე. წ. კრიტიკულ მასაში, ანუ უშუალოდ აქციაში მონაწილეობისას, თითოეული ინდივიდის უსაფრთხოება მაქსიმალურად დაცულია.

ეს, რაც შეეხება დაპატიმრების ალბათობას. სამაგიეროდ გაცილებით დიდი ხიფათისთვის არის ხალხი მზად – რეზინის ხელკეტებისთვის ზურგის შეშვერა იქნება ეს, თუ პლასტიკური ან კიდევ უარესი, ლეტალური ტყვიებისათვის – შუბლისა. და აი აქ ეჯახება ხალხის ინტერესები ოპოზიციის იმ ლიდერებისას, რომელთაგანაც გადაწყვეტილების მიღებას ელიან.

ლიდერებს, რაც არ უნდა მწვავე განცხადებები აკეთონ აქციებზე, ამისთვის არავინ დაიჭერს, რადგანაც მიშას ზედმეტი თავის ტკივილი არ უნდა ევროპაში თუ ამერიკაში. განსხვავებით უბრალო ხალხისგან, რომელთაც პოლიტიკური პატიმრის სტატუსს არავინ მიანიჭებს ქვეყნის გარეთ, საქართველოს „მეგობარ“ სახელმწიფოთა სამთავრობო დონეზე.

თორემ, ჩვენი შინაური, ადამიანის უფლებათა დამცველის თუ დასავლური „ენჯეოების“ დასკვნების და ანგარიშების რომ არ ეშინიათ ნაცებს და ფეხებზე ჰკიდიათ, ეს იქიდანაც სჩანს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს და შემდეგ დაჭერილი ხალხი, დღესაც ჩვენი „ევროპული სტანდარტების“ საპატიმროებში ზის.

ეს არის და ეს მათი არითმეტიკა და არა ის, რომ სისხლის ღვრაზე არ წავიდნენ. კი, სააკაშვილის ჩამოგდება უნდათ, მაგრამ როგორ იცით? 100 ათასობით ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, მიშას უნდა შერცხვეს და გადადგეს, მაგრამ რომ არ გამოდის ეს ამბავი ასე მარტივად, რა ვქნათ?

**თავად არა ერთ ოპოზიციურ ლიდერს განუცხადებია არა ერთხელ, რომ მიშა უსისხლოდ არ წავა! განსაკუთრებით პრივატულ საუბრებში უყვართ ამ თემაზე მსჯელობა, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგა, ხალხის ტყვიაზე წასვლის, თავგანწირვის სანაცვლოდ, საკუთარი თავისუფლების მცირე ხნით ალკვეთაზეც არ არიან თანახმანი!**

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, რომ იტყვიან კაცი რუსთაველზე, პარლამენტის წინ დავბერდი და ყველაფერი მახსოვს. მათ შორის 1989 წლის 9 აპრილიც. და ახლა, როდესაც ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ 25 ნოემბერს საკმარისი ხალხი არ გამოვიდაო, მეცინება! მეცინება და იმავდროულად მეტირება, რადგანაც მაშინ, იმ 9 აპრილის საბედისწერო დღეს, გაცილებით ნაკლებნი ვიყავით და თანაც ვის წინააღმდეგ? სსრკ იმპერიის, რომლის წინაშე მთელი მსოფლიო შიშისგან ცახცახებდა და არა ნაცების წინაშე.

ჰოდა მაშინ, იმდროინდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი (არ მინდა ეს დევალირებული სიტყვა „ოპოზიცია“ ვიხმაროძ მოძრაობის ლიდერები, ჩვენი, ქართველი ერის მოხმოვნას დაჰყვნენ პატრიარქის თხოვნის საწინააღმდეგოდ და ფეხი არ მოვიცვალეთ იქიდან, მიუხედავად საბჭოთა ტანკების გრუხუნისა.

**სისხლიც დაიღვარა, ლიდერებიც დაიჭირეს, მაგრამ ბოლოს საქართველომ სულ მალე თავისუფლებაც მოიპოვა და ის ლიდერები ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდნენ! მერე რა და როგორ, ან რატომ მოხდა, ეს ცალკე საუბრის თემაა. ახლა კი ერთ რამეს ვიტყვი ხმამაღლა. უფრო სწორედ თვალზე ცრემლმომდგარი შალვა ხაჭაპურიძის ნათქვამს გავიმეორებ, რაც მან 25 ნოემბრით გაწბილებულმა თქვა – ვისაც საქართველო უყვარდა, ყველა მთაწმინდაზე წევსო!**

დიახ, ასეა და, ჩემის მხრივ, დავამატებ, რომ არა მხოლოდ მთაწმინდაზე – ზურა ჭავჭავაძე, გიორგი ჭანტურია და რა ვიცი კიდევ, ეს ყველაზე ცნობილი ხალხი ჩამოვთვალე, თორემ ვინ მოთვლის იმ წლებში დაღუპულ სახელიან თუ უსახელო ქართველებს? თითქმის ყველანი მიწაში წვანან!

როგორც იტყვიან, ალბათ კალამი გამექცა, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდი. თუმცა არა მგონია ამ არც თუ მცირე პათეტიკურ-ისტორიული ექსკლუზით, წერილის მთავარი თემიდან ძალიან დაგავუხვიე, მარამ მაინც და ახლა

### 20 ლარად გაყიდულების შესახებ

**გავიხსენოთ როდის, რის შემდეგ ხდებოდა ასეთი ამბავი. რის შემდეგ და იმის, როდესაც თავგანწირვისთვის მზადმყოფ ასიათასობით ქართველებს სახლში უშვებდნენ, რასაც, როგორც წესი, ვადამდელი თუ ვადიანი არჩევნები მოსდევდა.**

**ასე იყო 2008 წლის საპრეზიდენტო და იმავე წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს და შარშანდელი 100-დღიანი უწყვეტი პროტესტის შემდეგ, ე. წ. ადგილობრივი არჩევნებისას. დიახ, ბევრმა აიღო ის 20 და 30 ლარი, ბევრმაც დაპატიმრებული თუ დასაპატიმრებელი ახლობლების გამო მისცა მათთვის საძულველ ხელისუფლებას ხმა, მაგრამ იცით რატომ?**

**აი, „ნატვრის ხის“ პერსონაჟი ხომ გახსოვთ – „ამ ქვეყანას მე ვერ გავასწორებ და ძილი რაღად უნდა დავიკლოო“, ამიტომ!**

**ასე რომ ოპოზიციის ლიდერებო! ხალხი არაფერ შუაშია, ხალხი კიდევ ბევრს გითმენთ და სანამ ყელში არ ამოსულხართ, სანამ არ გადაგიარათ ამ ხალხმა, მათზე როცა ლაპარაკობთ, პირებში წყალი გამოივლეთ!!!**

**დავით მხეიძე**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

## საიუბილეო თარიღების წინ

**მომავალ, 2011 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას დაარსებიდან 70 წელი უსრულდება. გაისადვე 120 წელი სრულდება აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის დაბადებიდან.**

სმეა-ის აკადემიური საბჭოს სხდომამ განიხილა ამ საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების აღნიშვნის საკითხი, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

ზეიმობათა გამართვა განზრახულია 2011 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც დეტალურად მოიფიქრებს და შეადგენს სამოქმედო გეგმას.

მოისმინეს აკადემიკოს მინდია სალუქვაძის ინფორმაცია აკადემიურ საბჭოსთან არსებული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კომისიის აღდგენის თაობაზე. გადაწყდა მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებასთან სპეციალური კომისიის ჩამოყალიბება, რომელიც შეისწავლის ქვეყანაში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საკითხებს. კომისიის სახელწოდებასა და შემადგენლობას ახლო ხანში დაამტკიცებს აკადემიური საბჭო.

90 წელი შეუსრულდა აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილს. საბჭოს წევრებმა გულთბილი მისალოცი ადრესი გაუგზავნეს იუბილარს, რომელიც ავადმყოფობის მიზეზით სხდომას ვერ დაესწრო. კეთილსურვილებიანი ადრესი გადაეცა იქ მყოფ მეორე მედლეოზეს, აკადემიის წევრს, 85 წლის აბესალომ ვეკუას.

ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოება მიულოცეს ამასწინანდელ იუბილარს, აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძეს (ბატონმა ჯუმბერმა მე-9 ათეულში შეაბიჯა...ძ.

## ნანობუმის ხანაში

**აკადემიურმა საბჭომ სპეციალური სხდომა მოიწვია, გაფართოებული კონტინგენტის დასწრებით, ნანოტექნოლოგიების პრობლემათა განსაჯელად. შეკრებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია და საბჭოს წევრებთან ერთად სხვადასხვა დარგის არაერთი ცნობილი სპეციალისტი მოიზიდა.**

საქმე ისაა, რომ ნანოტექნოლოგია მიმდინარე საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის სიმბოლოდ განიხილება და ამჟამინდელ მსოფლიოში „ავარდნილმა“ ნანოტექნოლოგიურმა ბუმმა მოიცვა ადამიანის ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის ლამის ყველა სფერო. მოწინავე ქვეყნებმა ნანოტექნოლოგია აღიარეს მთავარ პრიორიტეტად, რამაც ის კიდევ უფრო სწრაფად განვითარებად დარგად აქცია მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში.

თურმე ნანოტექნოლოგიის დარგის მიერ უკვე მიღებული შედეგები ფართო საზოგადოების მხრივ მათს გააზრებასაც კი წინ უსწრებს. ამერიკელ ექსპერტებს მაინც მოუხერხებიათ, „რალაცეების“ გააზრება და შემოუთავაზებიათ ასეთი მონაცემები: ნანოტექნოლოგიების განვითარება 10-15 წლის შემდეგ მოგვცემს ეკონომიკის ახალი სფეროს შექმნის საშუალებას, ისეთისა, რომლის ბრუნვა იქნება 1 ტრილიონი ამერიკული დოლარი(!ძ და დამატებითი აქტივი – მილიონობით სამუშაო ადგილი. 2030 წლისათვის მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის ნახევარი დამზადდება ნანოტექნოლოგიების გამოყენებით. უფრო „იქით“ მეტიც მოხდება – ისინი რადიკალურად გარდაქმნიან ადამიანის ცხოვრებას და კიდევ მეტი – გავლენას მოახდენენ ბუნებაში მიმდინარე პროცესებზეც (ოღონდ, სულო ცოდვილო, ვაითუ ეს გავლენა არცთუ სასიკეთო გამოდგეს...ძ.

ნანომეცნიერება, ნანოტექნოლოგიები; ვითარება გუშინ, დღეს, ხვალ; „ნანოები“ და მედიცინა, კერძოდ, კარდიოლოგია; შესაბამისი მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში – ეს და არაერთი სხვა თემა გახდა პროფესორების რაფიელ ჩიქოვანის, ალექსი გერასიმოვის, ნიკოლოზ ყიფშიძის „ეკრანიზებული“ მოხსენებების, აგრეთვე სხვა სპეციალისტების გამოსვლების საგანი.

ჩვენ ალბათ კვლავ მოგვეცემა შესაძლებლობა მკითხველთან „ნანობუმზე“ – საუკუნის ბუმზე საუბრისა.

**თამაზ ებანოიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ოპოზიცია უკმაყოფილების აფეთქებას ელოდება

**ორშაბათიდან, 6 დეკემბრიდან თბილისში იზრდება მუნიციპალურ ტრანსპორტზე მგზავრობის ფასი 40-დან 50 თეთრამდე. ოპოზიციამ ქალაქის პარლამენტში, რომელსაც 11 მანდატი აქვს მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ 39-თან შედარებით, ვერ შეძლო დაებლოკა ეს გადაწყვეტილება, რომელიც არასასიამოვნო სიურპრიზი გახდა თბილისელებისთვის. ამ დღეებში 2 ლარი და 40 თეთრიდან 3 ლარამდე და 15 თეთრამდე გაიზარდა ყოველთვიური წყლის გადასახადი ქალაქში. ეს შემოდგომა აღინიშნა ფასების ზრდით კვების პროდუქტებზეც, დაწყებული პურიდან ხორცის პროდუქტებამდე.**

ხელისუფლება ფასების ზრდას ხსნის მსოფლიო ფინანსური პრობლემებით, აგრეთვე იმის სურვილით, რომ მოახდინოს ქალაქის მეურნეობის განვითარების შემოსავლის ინვესტირება. ოპონენტები უპასუხებენ საყვედურით – არ არის საჭირო სახსრების ხარჯვა უცხოელი ვარსკვლავების რეგულარული კონცერტებისთვის, ცათამბჯენებისა და უსარგებლო ხიდების მშენებლობისთვისო. თბილისელები განიხილავენ ახალ სხვადასხვაგვარ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც ხელისუფლება აპირებს შეავსოს ბიუჯეტი. 1 დეკემბრიდან უსაფრთხოების ღვედებით მგზავრობისთვის, აგრეთვე ბუნების დაბინძურებისთვის შემოღებულია ჯარიმები 50 ლარის ოდენობით. ამბობენ, რომ ამ დღეებში ადგილობრივმა გადამხდელებმა მოინახულეს საქართველოს დედაქალაქის უდიდესი პარკები, გამოარკვიეს, ხომ არ არიან იქ ძიძები, რომლებიც ბავშვებს ასეირნებენ. თუ ბავშვთან ძიძაა, მაშინ მან შემოსავალი უნდა გაუყოს სახელმწიფოს. ანალოგიური ბედი, როგორც ამბობენ, ელოდება „დაურეგისტრირებელ“ რეპეტიტორებსაც.

„ხელისუფლება ამბობს, რომ უნდა მოვიჭიროთ ქამრები, თბილისის მერი გიგი უგულავა აუქციონზე ჰყიდის ძვირადღირებულ ავტომობილს, რათა გადაჯდეს უფრო იაფ მანქანაზე, და სინამდვილეში ქამრების მოჭერა უხდებათ ჩვეულებრივ მოქალაქეებს“, – ჩივის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მასწავლებელი მანანა. მისი ხელფასი ამერიკის ვალუტაზე გადაანგარიშებით, ოდნავ აჭარბებს 100 დოლარს.

ოპოზიციამ გაითვალისწინა, რომ ზამთარმა შეიძლება მხოლოდ გააუარესოს მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, და გადაწყვიტა დაელოდოს და პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოვიდეს რამდენიმე თვის შემდეგ. საქართველოს პარტიის თანათავმჯდომარემ, ყოფილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ოპოზიციისგან ლევან გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამ ორგანიზაციაში უნდა მოხდეს გაზაფხულისთვის სულ ცოტა 50 ათასი მომხრის მობილიზება ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისთვის. „მე ვიქნები რიგითი ჯარისკაცი, მაგრამ უკომპრომისო“, – გვპირდება ოპოზიციონერი.



სხვა ოპოზიციონერებს ლოდინი არ გადაუწყვეტიათ. 9 დეკემბერს გამოაცხადებენ გადაწყვეტილებას სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტისა და „სახალხო გულშემატკივრების“ რაზმების შექმნის შესახებ „საქართველოს საყოველთაო კრების მიერ“, რომელმაც ამ დღეებში გამოაქვეყნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი უნდობლობის ვერდიქტი.

მაგრამ დამოუკიდებელ ქართველ ექსპერტთა კლუბის აღმასრულებელი მდივნის გიორგი ხუხაშვილის აზრით, „დღეს სურათი ისეთია, რომ არა მხოლოდ ხელისუფლება, ოპოზიციაც აშკარად დაშორდა ხალხს, მასში მოქალაქეები ვერ ხედავენ ინსტრუმენტს თავიანთი სოციალური პრობლემების გადაწყვეტისთვის“. ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ „ხელისუფლება კარგად იყენებს მომენტს, გვთავაზობს არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პროტესტი შეიძლება სამზარეულოებიდან ქუჩებში გადმოვიდეს და მოახდინოს საზოგადოებრიობის კონსოლიდირება“. ჩვენმა თანამოსაუბრემ აღნიშნა: „ნორმალურ ქვეყანაში ფასები ტრანსპორტზე, კომუნალურ მომსახურებაზე, რასაკვირველია, უნდა იყოს ისეთი, რომ შეგეძლოს გამოისყიდო მათი ხარჯები. მაგრამ სიტუაცია ქართულ საზოგადოებაში არ იძლევა საფუძველს ტარიფების ასე გაზრდისთვის, ამიტომ სოციალური რისკები იზრდება.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# WIKILEAKS ორ ფრონტზე იბრძვის

**სკანდალური საიტის WIKILEAKS-ის მასალებმა ორი წლისწინანდელი ომის შესახებ სამხრეთ ოსეთში კვლავ გამოიწვია დავები იმის შესახებ, თუ ვინ იყო აგრესორი – საქართველო თუ რუსეთი. თბილისში ახალი მონაცემების გაჩენას უწოდეს კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ომი გააჩაღა მოსკოვმა. რუსეთში, პირიქით, მოჰყავთ ციტატები, საიდანაც ჩანს, რომ რუსეთის მხარე დიდი ხნით ადრე აფრთხილებდა დასავლეთს, რომ საქართველო აპირებს ძალით დაიბრუნოს სამხრეთ ოსეთი.**

ამ დროს ამერიკელი დიპლომატების გამოქვეყნებულ დეპეშებში ბევრია ერთიმეორის საპირისპირო ცნობები, რომლებიც არახელსაყრელად წარმოაჩენენ რუსეთსაც და საქართველოსაც, თავად დიპლომატებსაც, რომლებმაც მაინც ვერ შეძლეს გარკვეულიყვნენ, თუ რა მოხდა.

საიტის მიერ მოპოვებული და ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის“ საიტზე გამოქვეყნებული ამერიკელი დიპლომატების მიმოწერა, რომლებიც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომს სამხრეთ ოსეთში, გახდა მთავარი ახალი ამბები საქართველოში. აბსოლუტურად ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალება ერთიმეორის დასწრებით აქვეყნებენ ამონარიდებს ვაშინგტონში გაგზავნილი დეპეშებიდან, რომლებშიც თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი უილიამ ტეფტი აღნიშნავს: საქართველოს ხელისუფლება არ არის დამნაშავე იმაში, თუ რა მოხდა 2008 წლის 8 აგვისტოს ღამით. ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, თუ საქართველოს წარმომადგენლები როგორ ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ მომწიფებული კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით. მაგრამ ამაოდ. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ედუარდ კოკოითმა დაბლოკა საქართველოს მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის შეხვედრა ცხინვალელ მომლაპარაკებელ ბორის ჩოჩიევთან.

„7 აგვისტოს საღამოს, როდესაც ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ ვაშაძემ აცნობა ელჩებს, რომ დაიღუპა ერთი ქართველი მშვიდობისმყოფელი და კიდევ რამდენიმე დაიჭრა, – წერს ბატონი ტეფტი ერთ-ერთ თავის გზავნილში. – მან აგრეთვე განაცხადა, რომ ჯავიდან შემოდის რუსეთის შეიარაღება. 7 აგვისტოს 19 საათსა და 25 წუთზე, მას შემდეგ, რაც იაკობაშვილი დაბრუნდა კონფლიქტის ზონიდან, სამხრეთ ოსეთის მხარე აგრძელებდა სროლებს ქართული სოფლების მისამართით, მიუხედავად განცხადებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. იაკობაშვილმა თქვა, რომ გენერალ კულახმეტოვთან ერთად (რუსი სამშვიდობოების სარდალი მარატ კულახმეტოვი) ის ცხინვალში ელოდებოდა სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შეხვედრისთვის. კულახმეტოვი ცდილობდა დაერეკა ჩოჩიევისთვის და სხვა წარმომადგენლებისთვის, მაგრამ ისინი არ პასუხობდნენ. მაშინ კულახმეტოვმა თქვა: „მე არაფერს ვაკონტროლებ, ჩემს ზურგს უკან ისინი (ცხადია, ოსები) ესვრიან ქართველებს“.

თავის წერილებში ტეფტი ასევე წერს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ არის კონფლიქტის წამომწყები. „ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა დადასტურება ამტკიცებს სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ ეს ომი არ ყოფილა საქართველოს თავდაპირველი განზრახვა. წამყვანი ქართველი ჩინოვნიკები, რომლებსაც უნდა ეკისრათ პასუხისმგებლობა სამხრეთ ოსეთზე თავდასხმისთვის, შვებულებაში იმყოფებოდნენ, ქართველებმა კი მობილიზაცია დაიწყეს მხოლოდ 7 აგვისტოს, როდესაც შეტევა უკვე მთელი ძალით მიმდინარეობდა“, – წერს დიპლომატი. ის აგრეთვე ატყობინებს თავის ხელმძღვანელობას ვაშინგტონში, რომ, არსებული მონაცემებით, როკის გვირაბით რუსეთიდან სამხრეთ ოსეთისკენ ჯერ კიდევ 7 აგვისტოს დაიძრა ასობით შეიარაღებული ადამიანი, აგრეთვე მძიმე შეიარაღება.

ომის შესახებ ახალი მონაცემების გაჩენამ საქართველოს ოფიციალური პირების ძლიერი რეაქცია გამოიწვია. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ, მართალია მასალების აუტენტურობა ჯერ ისევ იწვევს ეჭვს, მაგრამ გამოქვეყნებული მონაცემები ადასტურებენ საქართველოს ვერსიას სამხრეთ ოსეთის მოვლენებთან დაკავშირებით. ანალოგიური განცხადება ქვეყნის პრეზიდენტის სახელით გააკეთა პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ: „უმთავრესად მიმოწერაში არაფერია ახალი მსოფლიო გაერთიანებისთვის რუსული აგრესიის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ“.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაინიშნა ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში, აცხადებს, რომ მისი მხრიდან არ იქნებოდა კორექტული, გაეკეთებინა კომენტარები WikiLeaks-ის საიტთან დაკავშირებით. „სხვათა შორის, გამოქვეყნებული მონაცემები მხოლოდ ადასტურებენ იმას, რასაც ჩვენ დიდი ხანია ვლაპარაკობთ“, – აღნიშნა მან.

ამ დროს ელჩ ტეფტის მიმოწერა ავლენს კიდევ სხვა დეტალებსაც, რომელთა გათვალისწინებითაც სიტუაცია ასე ერთმნიშვნელოვნად არ გამოიყურება. ის, მაგალითად, წერს, რომ ეუთოს მეთვალყურეები აცხადებდნენ: „საქართველოს შეტევა ცხინვალზე დაიწყო 7 აგვისტოს 23 საათსა და 35 წუთზე, მიუხედავად განცხადებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 19 საათზე“. „სროლები გაძლიერდა 23 საათისა და 45 წუთისთვის, თანაც ქართველები იყენებდნენ დიდი კალიბრის ნაღმსატყორცნებს და „გრადის“ არტილერიას“. სროლები ხდებოდა ყოველი 15-20 წუთის შემდეგ, სამხრეთოსეთელები უპასუხებდნენ საპასუხო ცეცხლით. მეთვალყურეების დაანგარიშებით, ცხინვალს მიაყენეს, როგორც მინიმუმი, 100 დარტყმა, ზოგიერთმა ამ დარტყმიდან ზიანი მიაყენა ეუთოს ოფისსაც“, – აწვდის ინფორმაციას ვაშინგტონს ელჩი ტეფტი.

საიტის განკარგულებაში აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების ნატოსთან მისიის თანამშრომლის ბრიუს ვეინროდის საინტერესო ჩანაწერიც. იგი სახელმწიფო დეპარტამენტს ატყობინებდა, რომ „საჭიროა მზად ვიყოთ, ვუპასუხოთ იმათ შეკითხვებს, ვინც ეჭვს მიიტანს, რომ თბილისი არცთუ ისე დამნაშავეა იმაში, თუ რაში გადაიზარდა ეს სიტუაცია“.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოხვედრილი მასალები იტყობინებიან, რომ რუსეთის მხარე არაერთგზის აფრთხილებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის შესახებ. „შთამბეჭდავია, თუ რუსები, მათ მიერ დაკავებული თანამდებობისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად – შედიან ისინი მთავრობაში თუ არა – დარწმუნებული არიან, რომ საქართველო ემზადება ომის დასაწყებად სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ბევრს მიაჩნია, რომ საქართველოს ამისკენ უბიძგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია: პრეზიდენტმა ბუშმა სააკაშვილთან შეხვედრაზე 5 ივლისს მას „მწვანე შუქი“ აუნთო, – ნათქვამია დეპეშებში, რომლებიც გაიგზავნა ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან მოსკოვში.

ამრიგად, ამერიკელი დიპლომატების მიმოწერიდან ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ ვინ დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთში, ერთობ რთულია. და თითოეული მხარე ინფორმაციის მასივიდან იღებს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც მისთვის არის ხელსაყრელი. ანალოგიური ისტორია მოხდა 2009 წლის ოქტომბერშიც, როდესაც ევროკავშირის კომისიამ ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით გამოაქვეყნა მოხსენება აგვისტოს ომის შესახებ. თბილისში მაშინ ზუსტად ასევე აცხადებდნენ, რომ დოკუმენტიდან გამოდის უტყუარი ფაქტი – აგრესორი რუსეთია. მოსკოვიდან კი გაისმოდა საპირისპირო განცხადებები.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**სამხრეთი კორეა ყვითელ ზღვაში მოაწყობს კიდევ ორ სამხედრო სწავლებას – ერთს აშშ-სთან ერთად**

6 დეკემბრიდან სამხრეთ კორეის სამხედრო-საზღვაო ძალები მოაწყობენ ერთკვირიან სწავლებას, რომლის დროსაც დაამუშავებენ თავდაცვას ჩრდილოეთთან გამყოფი ხაზის მახლობლად. კიდევ ერთ სწავლებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად სამხრეთელები მოაწყობენ მიმდინარე წლის დამთავრებამდე. ფხენიანი იმუქრება „საპასუხო დარტყმით“.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამა საფრთხეს უქმნის რუსეთის უშიშროებას**



კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შესწევს ძალა, განახორციელოს ბირთვული პროგრამა, მაგრამ არ ჰყოფნის გამოცდილება და ტექნოლოგიები, რათა უზრუნველყოს მოწყობილობის ფუნქციონირების უსაფრთხოება, მიაჩნიათ ექსპერტებს. ეს საფრთხეს უქმნის შორეული აღმოსავლეთის ეკოლოგიას. შესაძლო დარტყმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ურანისა და პლუტონიუმის მარაგებზე ასევე საფრთხეს უქმნის რეგიონს რადიაქტიური დანაგვიანებით.

* * *

**პოლონეთი სახელმწიფოთაშორისი საავიაციო კომიტეტის მოხსენებას სმოლენსკის კატასტროფის შესახებ იანვარში გამოაქვეყნებს**



სახელმწიფოთაშორისი საავიაციო კომიტეტის მოხსენება კატასტროფის შესახებ პოლონეთის მხარეს გადაეცა ოქტომბრის შუა რიცხვებში. პროექტი პოლონური კომისიის შესახებ, რომელიც აყალიბებს პოლონეთის პოზიციას სახელმწიფოთაშორისი საავიაციო კომიტეტის მოხსენებასთან დაკავშირებით, მზად არის და შეიცავს დაახლოებით 100 გვერდს. ამჟამად კომისია ცდილობს ჩამოაყალიბოს პოზიცია, რათა დაარწმუნოს რუსეთელები, რომ აუცილებელია შეტანილი იქნეს ცვლილებანი მოხსენების შინაარსში.

* * *

**უკრაინელებმა შეადგინეს ეროვნული „ანტისიხარულის მატრიცა“**

„მატრიცაში“ შევიდა პრობლემები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს სოციოლოგების მიერ გამოკითხულ მოქალაქეებს. მათგან ყველაზე მეტი აღმოჩნდა (40 პროცენტი) უკმაყოფილება თავიანთი შემოსავლებით, 31 პროცენტი – ჯანმრთელობის მდგომარეობით. ოპტიმისტების ჯგუფი შეადგინა ახალგაზრდობამ, რომელსაც არ სწამს თავისი მომავალი.



ცივი ზამთრის პირისპირ







# იქ, ჩვენთან, სადაც დრო გაწყდა...

## სპეციალური რეპორტაჟი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან

რამდენიმე კოლეგამ ქარელის რაიონის ქართული სოფლების – ცერონისის, ატოცის, ჭვრინისის, კოდასა და ბრეძას მოსანახულებლად ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ბლოკსაგუშაგო უკან ჩამოვიტოვეთ...

თითქმის ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის წევრებს ოკუპირებული ზონების მიმდებარე სოფლებში სოციალური პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესება დაავალა.

„ამ ხალხს, რომლებსაც ოკუპანტებისგან ისედაც დიდი ზიანი მიადგა, ყველანაირად გვერდით უნდა დავუდგეთ. ეს ნიშნავს, რომ ისინი უნდა გამოვაზამთროთ და ამაში იგულისხმება შეშით უზრუნველყოფა, წელსაც და მომავალ წლებშიც. ასევე, უნდა დარიგდეს ფქვილი. მათთვის სხვა სახის დახმარებებიც უნდა გავცეთ; ჯერ ერთი, კარგად რომ გამოიზამთრონ და მეორე, თავი სოციალურად დაცულად იგრძნონ. თუ სადმე რამე კეთდება – ეს შეეხება, როგორც განათლებას, ასევე, ჯანდაცვას, პირველ რიგში, ამ სოფლებში უნდა გაკეთდეს. ეს არის ჩვენი პასუხი რუსი ოკუპანტების იმ უმსგავსო საქციელზე, რომელსაც ისინი სჩადიან“, – ეს პრეზიდენტის სიტყვებია...

ცერონისი, ატოცის, ჭვრინისი, კოდა და ბრეძა კონფლიქტის ზონად არ ითვლება, თუმცა არც უსაფრთხო ტერიტორიად არის მიჩნეული.

ცერონისში აგვისტოს ომის დროს 45 საცხოვრებელი სახლი გადაიწვა. დღეისთვის არც ერთი სახლი აღდგენილი არ არის, დაზარალებულები კი დროებით აშენებულ ერთოთახიან, ნესტიან ბინებში ცხოვრობენ, რომლებსაც უკვე ბზარები გასჩენია.

„პრეზიდენტმა იმედები გაგვიცრუა, დაპირებები არ შეასრულა“, – გულგატეხილი დაგვხვდნენ ადგილობრივები. ერთმანეთს ასწრებენ პრობლემების ჩამოთვლას – „ზამთარი მოვიდა, არც შეშა მოგვიტანეს და, არც ფქვილი; ტექნიკა არ გვაქვს, მიწები რომ დავამუშავოთ და თავი ვირჩინოთ. ამისთანა მინდვრები დასახნავი და დასათესია, ხელისუფლება კი ტრაქტორებს აქეთ-იქით დაარბენინებს სურათების გადასაღებად. არავინ ჩვენი პატრონი არ არის, აღარავის ვახსოვართ, აღარავინ გვკითხულობს“, – გულისწყრომას არ მალავენ.

დარდისა და ჯაფისგან გატეხილი მოხუცები სოფლიდან ახალგაზრდების წასვლაზეც წუხან - „დაიცალა სოფელი. ახალგაზრდები აქ არ ჩერდებიან, ვერაფერს აკეთებენ, თავსაც უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ. ასე ხომ ამ სოფლებსაც დავკარგავთ“, – მოსახლეობის განწყობაში, თითოეულის ხმაში, მათ მშრომელ და დაკოჟრილ ხელებშიც კი უიმედობა იგრძნობა.

„აქ ცხოვრება ძალიან გაუსაძლისია, ხან ადამიანს იტაცებენ, ხან საქონელს, შიშის ქვეშ გვიწევს ცხოვრება, თავს მიტოვებულად ვგრძნობთ“, – ამბობენ ისინი.

ცერონისს უკვე ვტოვებდით, როცა შავოსანი მოხუცი ქალი მანქანის საქარე მინას ჩაებღაუჭა – „ხომ დაბრუნდებით?! ავნევი და კლოლევია კიდევ მისახედი“! – ხმაში სასოწარკვეთა გაერია.

დაბრუნების სურვილის მიუხედავად, დაპირება ვერ გავბედე. „ჩვენ თუ ვერ ამოვალთ, სხვები ამოვლენ“... – მხოლოდ ეს ვუთხარი.

გზა ატოცის მიმართულებით განვაგრძეთ. სახლები აქაც გადამწვარია. ირგვლივ სიცივისა და გაუსაძლისი ყოფის სუნი დგას. ლილი ბირთველიშვილი თავის საცხოვრებელ ვაგონს მაჩვენებს, სადაც დაუოჯახებელ ვაჟთან ერთად ცხოვრობს. არავინ გამოჰყვა ცოლად ამ ვაგონშიო, – მითხრა.

რკინის კონსტრუქციას ძირი არ აქვს. იატაკად სხვადასხვა ზომის, გაცვეთილი და უვარგისი ფიცრებია გამოყენებული, რომელიც ისე მეჩხრად არის ჩალაგებული, რომ მიწა და ბალახი ჩანს.

ორი რკინის საწოლი, ერთი ღუმელი და გარდაცვლილი მეუღლის გადიდებული ფოტოსურათი ისეთი ინვენტარია, რომელსაც სოფლებში, ბევრ ოჯახში ნახავ და ყურადღებას ნაკლებად მიაქცევ, მაგრამ ამ ვაგონში მეტად ყურადსაღები სხვა ფაქტი აღმოვაჩინე – ქალბატონ ლილის მისი ღატაკი საცხოვრისი „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პლაკატით გაულამაზებია. სარკმელთან ახლოს გაკრულია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსახულებიანი ნახევრად წითელი ფურცელი წარწერით – „საქართველო სიღარიბის გარეშე“.

„ხალხს ეჯავრება სააკაშვილი?“, – მეკითხება ქალბატონი ლილი ჩუმად და ოდნავ დარცხვენით. გულწრფელად გამეცინა ამ კითხვაზე. „მე არ მეჯავრება“, – განაგრძო მან, „მე ვინც გამომიყვანს ამ ვაგონიდან, ის იქნება ჩემი სააკაშვილი“, – დასძინა. „რა თქმა უნდა; ეს თქვენი არჩევანია, თქვენი უფლებაა; თქვენს სახლში ვის სურათსაც გინდათ, იმისას გააკრავთ, არავის ეკითხება“, - რაღაცნაირად ვეცადე, დამემშვიდებინა. აფორიაქებული ჩანდა. „თავიდან კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლოში..“, – ისევ ჩუმად მითხრა. რაღაც არ ასვენებდა.. თან უყვარს თავისი პრეზიდენტი და თითქოს თან ეუხერხულება ეს სიყვარული.

შეშის და ფქვილის პრობლემა ატოცშიც დაგვხვდა. მოსახლეობა შეშას ხეხილის ბაღებში ჭრის, თუმცა სანამდე ეყოფათ ეს ბაღები, არ იციან. ახლო ტყეები ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა მოქცეული, შორიდან შეშის მოტანა ან ყიდვა ძვირი ჯდება. მათ კი, არც დახმარება აქვთ და არც სამუშაო, შემოსავალი რომ მიიღონ. ახალგაზრდები აქაც დაუსაქმებლები არიან, ნაწილი სოფლიდან გაიხიზნა. ვინც დარჩა, უმეტესობა დეპრესიით და ნევროზით არის დაავადებული. მშობლები ძალიან შეწუხებულები არიან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით. სოფელში ექიმიც არ ჰყავთ. ახალგაზრდა ქალმა, ნანა კილაძემ მითხრა, რომ შუა ზაფხულში სახლში იმშობიარა, რადგან სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ მივიდა.

სანამ ჭვრინისისკენ დავიძვრებოდით, ატოცში, III-IV საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესიასთან გავჩერდით. ეკლესიის ახლოს 1941-1945 წლების ომში დაღუპულთა მემორიალი დავინახეთ, რომლის ცენტრალურ კედელზე საბჭოთა ბელადის იოსებ სტალინის სურათია გამოსახული – ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ხელისუფლებას ატოცი ბოლო პერიოდში არ მოუნახულებია.

წინა სოფლებისგან განსხვავებით, სოფელი ჭვრინისი სკოლის შენობის გარეშეა დარჩენილი. გაკვეთილები ბავშვებს ერთ უსახურ შენობაში უტარდებათ. შენობა გარედან მიმღებ პუნქტს ჰგავს, ახლოს რომ მიხვალ, ისეთი ავარიულია, არა მგონია, რამდენიმე თვე გაძლოს. ბავშვების ნაწილი ატოცის სკოლაში ფეხით დადის. სოფელში არ არის ტრანსპორტი, სავალალო მდგომარეობაშია გზა, პრობლემებია სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. შეშით მომარაგება და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა კი, მათთვის უკვე ფუფუნებად არის ქცეული.

„დაბარებული მაქვს ჩემს ნათესავებთან, ქალაქში სამუშაო გამომიჩნდეს იქნებ; წავალ აბა, აქ რას მივაჩერდე“, – მითხრა პაატა შუბითიძემ და თან ოსური „საზღვრისკენ“ გაგვიძღვა.

მოსახლეობა გულდასმით გვათვალიერებინებს მათ საკუთრებაში დატოვებულ და ოსების მიერ მიტაცებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს. თან გამყოფ ზოლზე მიგვანიშნებენ. მე და ჩემი კოლეგები შევეცადეთ ახლოს მივსულიყავით ამ ზოლთან. ადგილობრივები ფრთხილობდნენ, ბევრს რომ დაგვინახავენ, არ ისროლონო.

სამსახურიდან საგულდაგულოდ წამოღებული „ფლიპკამერით“ კადრებს ვიღებდი, ზურგს უკან ახალგაზრდა კაცის ხმა მომესმა – „ჟურნალისტი უნდა მოვიყვანო ცოლად, ოსების არ ეშინიაო“. შემოვბრუნდი და უცებ დასერიოზულდა, ჩემი მინიკამერა ფოტოაპარატად აღიქვა, გვერდით მყოფ მეგობარს ხელი გადახვია და თან უხერხულობის გასაფანტავად, სურათი გადაგვიღეო, მთხოვა; გადავუღე. „ჩვენ ერთად ვიბრძოდით ცხინვალშიო“, – მითხრა.

ქართულ-ოსური „საზღვარი“ კოდაშიც ვნახეთ. ძალიან ახლოდან გადავხედეთ იმ მინდვრებს, სადაც თურმე რუსი ჯარისკაცები „ბეტეერებით“ ამოდიან და ვარჯიშობენ. ამ დროს კი, თუ საქონელი მათ სიახლოვეს გადავიდა, დაკლავენ და თან წაიღებენ.

„ჩირგვებში ვიმალებოდით ომის დროს, შორიდან ვუყურებდით, როგორ ძარცვავდნენ ჩვენს სახლებს“, – გვიყვებიან ადგილობრივები და თან გვთხოვენ, „საზღვრის პირი“ მალე დავტოვოთ.

უკან ხეხილის ბაღით ვბრუნდებით. „ამ ადგილზე ახალგაზრდა ბიჭი მოკლეს. რუსებმა ესროლეს“, – მიგვანიშნეს ქლიავის ხისკენ. ბაღში რამდენიმე ხე მოჭრილი ვნახე. „სხვა გზა არ გვაქვს, შეშად ვიყენებთ, ბავშვები გაგვეყინება; აქ ისეთი ზამთარი იცის, სულ იკეტება მთელი სოფელი“, – განმიმარტეს მათ.

მოსახლეობა უკმაყოფილოა ადგილობრივი ხელისუფლებით. ამბობენ, რომ ყურადღებას არავინ აქცევს, არც მათი პრობლემებით ინტერესდებიან. სოფლის დახმარებისთვის გამოყოფილი ფულით კი, რაღაც ერთი შენობა გადახურეს, რომელსაც ხალხი არაფერში იყენებს. ზოგმა სოფლის გამგებლის ვინაობაც ვერ გვითხრა. „ვიცით ვინ არის? ყოფილა ოდესმე ჩვენთან?“, – იყო პასუხი.

ხალხი პრეზიდენტის მიმართაც გულგატეხილია. „სააკაშვილი რომ ამბობს ჩვენზე გმირები არიანო, არ მინდა, ნუ დამარქმევს გმირს; ადამიანი დამარქვას და ელემენტარული პატივი მცეს, საქართველო რომ არ დავტოვო და საქართველოს ღირსეული მოქალაქე მერქვას“, – გულწრფელად მეუბნება თემურ კვირიკაძე. გულმოსული იყო, მაგრამ ქართული ხასიათი და სტუმართმოყვარეობა არ დავიწყებია – ასკილის ბუჩქს ერთი ტოტი მოვატეხე სამახსოვროდ. ეს რომ დაინახა, სახლში გარბოდა, „დაკრეფილი მაქვს და გაგატან, ასკილის ჩაი თუ გიყვარსო“, ძლივს გადავაფიქრებინე. წამოსვლისას „კიდევ ამოდითო“, – დამიბარა.

ბრეძა ბოლო სოფელი იყო, რომელშიც ამ დღეს ავედით – იმავე პრობლემებით, იმავე სატკივრით. სოფლის მოსახლეობა სტატუსის გარკვევას ითხოვს. „თუ კონფლიქტის ზონა არ ვართ, რატომ ვართ ქართული საგუშაგოს მიღმა“, – კითხულობენ ისინი. „თქვენ ხომ შეგიმოწმეს პასპორტები, აქეთ რომ გადმოდით; რატომ არ მიგვაკუთვნებენ კონფლიქტის ზონას? დახმარებები რომ არ მოგვცენ? ჩვენ ყოველდღე სიკვდილს ვუყურებთ თვალებში“, – გვითხრეს ადგილობრივებმა.

ყოველი მათგანი ცდილობდა ჩვენთან გასაუბრებას, რათა დაწვრილებით ჩამოგვეტანა სოფლის მდგომარეობის ამბავი თბილისში – ხალხს გაეგო მათი არსებობის შესახებ, განსაკუთრებით კი, სურდთ, ხელისუფლებისთვის შეეხსენებინათ თავი.

ბრეძას მონახულება იმით დასრულდა, რომ ილია ჯიჩოშვილმა სოფლის ცენტრში მდებარე, X საუკუნის ზღუდრის ეკლესიის ეზოში შემიყვანა, სადაც წინაპრების საფლავი მაჩვენა და ქართული ტრადიციების შესაძლო იავარქმნაზე მესაუბრა. „განსაკუთრებით ახალგაზრდებს გმართებთ იცოდეთ და გახსოვდეთ, ვისი გორისანი ხართო“, – ასე დამმოძღვრა.

უკან გამობრუნებული თითოეულ მათგანზე ვფიქრობდი. გამიჭირდა ამ სოფლებში ადამიანის ასაკის ამოცნობა, მიახლოებითაც კი; მძიმე ცხოვრება ადგილობრივებს ფიზიკური და მორალური წნეხის ქვეშ ამყოფებს. ახალგაზრდა შუახნის ადამიანს ჰგავს, ასაკოვანი – მხცოვანს. მათ ყველა მტერზე საშიში და ძლიერი მტერი შემოპარვიათ – უიმედობა. ისეთი შეგრძნება მაქვს, ამ ხალხს დრო გაუწყვიტეს, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ნაკლებად ელოდნენ ამას.

„გაიტანეთ ჩემი ოთახიდან საათები, მე თვითონ გადავწყვეტ, რა დროა“, – ეს ცნობილი დიქტატორის სიტყვებია. უამრავი ადამიანი მოჰყვა მის „დროის რკალში“, თუმცა საბოლოოდ თავად გახდა საკუთარი გადაწყვეტილებების მსხვერპლი...

**ხათუნა კილურაძე,**

მიხეილ კოტეტიშვილის ფოტო. „ინტერპრესნიუსი“







## ◎ კალათბურთი

# მსაჯიც ადამიანია

**სუპერლიგის VI ტურის ცენტრალური მატჩი „არმია“ – თსუ შესვენების შემდეგ რამდენიმე წამის განახლებული იყო, როცა ერთ-ერთ მსაჯს ზაზა მაჩალაძეს ჯანმრთელობამ უმუხთლა და მოსასულიერებლად რამდენიმეწუთიანი პაუზა მოითხოვა.**



მოგეხსენებათ, დაავადებას რომ კვალიფიციურად უმკურნალო, ჯერ სწორი დიაგნოზი უნდა დასვა. ვინაიდან მედიცინაში დილეტანტი ვარ, არაპროფესიონალურ ვარაუდს გამოვთქვამ: ეტყობა, ფიბას არბიტრზე ბრძოლის სიმძაფრემ იმოქმედა – ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ადამიანია.

არადა, მოვლენები სპორტის სასახლის სარბიელზე მართლაც ისე დრამატულად ვითარდებოდა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, ექიმი სხვებსაც დასჭირვებოდათ. საილუსტრაციოდ ვიტყვით, რომ 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო სათადარიგოთა სკამზე ერთბაშად ოთხმა(!ძ კალათბურთელმა გადაინაცვლა, რომელთაგანაც სამი სტუდენტთა გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი გახლდათ: მათიაშვილი, ლონდარიძე და ყველაშვილი. სწორედ ამან გადაწყვიტა კიდეც პრინციპული დუელის ბედი – 69:65 ლევან მოსეშვილის შეგირდთა სასარგებლოდ. სხვათა შორის, პირად შემადგენლობასთან და მთელ რიგ ჩინოვნიკებთან ერთად ქვეშევრდომთა წარმატებას ვიპ-ლოჟიდან ადევნებდა თვალს თავდაცვის ყოვლისშემძლე მინისტრი ბაჩო ახალაია და მათ რა უფლება ჰქონდათ, შეფი გაეწბილებინათ.

**ყველაზე შედეგიანები:** ტუღუში, ბაბიაშვილი – 17-17 ქულა („არმია“ძ; ფანჩულიძე – 26 (თსუძ.

არანაკლებ საინტერესო სანახაობა შემოგვთავაზეს „სოხუმისა“ და „ბათუმის“ ზღვისპირული დერბის მონაწილეებმა, რომლის გმირიც დევნილთა კლუბის ტრავმირებული გამთამაშებელი ლაშა ფარღალავა გახდა.

იგი პარტნიორებს მაშინ შეუერთდა, როცა აჭარელთა უპირატესობა სოლიდური გახდა – 40:22, თუმცა, კოჭლობის მიუხედავად, ისეთი ცეცხლი დაანთო მოედანზე, რომ მეტოქე ფსიქოლოგიურად გატეხა – 90:76.

**ყველაზე შედეგიანები:** შანიძე – 27 ქულა, ფარღალავა – 24 ქულა („სოხუმი“ძ; კეშელავა – 20 ქულა („ბათუმი“ძ.

**დანარჩენი შედეგები:** შსს – სტუ 109:83, „ქუთაისი“ – „სასოფლო“ 80:67, „სამედიცინო“ – „დინამო“ 90:73. ისვენებდა „ენერჯი ინვესტი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** შსს – 0, „არმია“ – 1, თსუ, „სოხუმი“, „ქუთაისი“ , „ენერჯი ინვესტი“ – 2-2, „ბათუმი“, „სამედიცინო“ – 3-3, „სასოფლო“ – 4, „დინამო“ – 5, სტუ – 6 წაგება.

**შემდეგი ტური:** „ბათუმი“ – თსუ (3 დეკემბერი, 16 სთძ, შსს – „სასოფლო“ – 12 სთ, „სოხუმი“ – „ქუთაისი“ 14 სთ, „სამედიცინო“ – „არმია“ – 16 სთ, „დინამო“ – „ენერჯი ინვესტი“ – 18 სთ. (4 დეკემბერიძ.

## ◎ ფეხბურთი

# წილი ნაყარია

**გაირკვა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მეტოქეთა ვინაობა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში.**

ესენი არიან საფრანგეთის, ნორვეგიისა და ბელარუსის გუნდები. მე-6 ჯგუფში მოხვედრილი ეს კვარტეტი ფინალური ეტაპის ერთადერთ საგზურს მომავალი წლის მარტის ბოლოს საფრანგეთში გაითამაშებს, „ევრო-2011“-ის დსკვნით ბატალიებს კი გაისად 3-15 მაისს სერბეთი უმასპინძლებს.

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გამართულმა კენჭისყრამ 2011-2012 წლების კონტინენტის პირველობის შესარჩევ ციკლში „ჯვაროსანთა“ მომავალი ოპონენტებიც დაასახელა.



17-წლამდელები მე-8 ჯგუფში შვედებთან, ბულგარელებთან და მოლდოველებთან იბრძოლებენ, ხოლო 19-წლამდელები მე-9 ჯგუფში – თურქებთან, პოლონელებთან და ლუქსემბურგელებთან.

საკვალიფიკაციო შეხვედრების დრო და ადგილი მოგვიანებით დაზუსტდება.

## ◎ თაობა

# სეხნიის ნაკვალევზე

**წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში სხვადასხვა კლუბის სპორტულ ღირსებას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჯამლეტ ხუხაშვილის არაერთი აღზრდილი იცავს, თუმცა 19 წლის გიორგი რევაზაშვილს მაინც განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად – მას უკვე სახელოვანი სეხნიის გიორგი შერმადინის მემკვიდრედ მიიჩნევენ, ასეთი ავანსის გასამართლებლად კი არც თვითონ იზოგავს თავს და არც კლუბ „მაქაბის“ ხელმძღვანელობა უწევს შეღავათს.**

გორის რაიონის სოფელ ზერტაში დაბადებული გიგანტი (სიმაღლე 208 სმძ შარშან ქვეყნის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამორჩეული მონაწილე და საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ, რასაც ამაგდარ დამრიგებელს უმადლის: „უკვე ორი სეზონია, რაც „მაქაბიში“ვთამაშობ და ბევრის სწავლაც მოვასწარი. ბატონი ჯამლეტი ზუსტად ისეთი გზით მატარებს, რომელიც თავის დროზე გიორგი შერმადინმა გაიარა და საამისოდ სარბიელზე მაქსიმალურ დროს – 40 წუთს მტოვებს. მართალია, ზოგჯერ ძალიან მიჭირს ასეთი დატვირთვების ატანა, მაგრამ ყველანაირად ვცდილობ, რომ მისი დავალებები პირნათლად შევასრულო“.



როცა ჯამლეტ ხუხაშვილზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი მის მართლაც რომ მშობლიურ ამაგს: „მან მე და ჩემი ძმები ლევანი და მაიზერი თბილისში გადმოგვიყვანა და სპორტის სასახლის გვერდით დაგვაბინავა. ასე რომ, თითქმის მთელი დღის განმავლობაში დედაქალაქის მთავარ დახურულ სარბიელზე ვართ, სადაც ვვარჯიშობთ და ვსწავლობთ, მათ შორის – ინგლისურს“.

მოგეხსენებათ, დიდი სპორტისკენ გზის გაკვალვა როგორი ძვირი და შრომატევადი სიამოვნებაა და მას მხოლოდ ერთი, თუნდაც საკუთარ საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული პიროვნება, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ გასწვდება. ამიტომ, მოდით, მადლიერებით ის ხალხიც მოვიხსენიოთ, ვისაც პერსპექტიული ჭაბუკის დაოსტატებაში საკუთარი წვლილი შეაქვს. ესენი არიან თემურ უგულავა (სპორტის სასახლეძ, მიხეილ ხუხაშვილი, ნოდარ ქორქია, ალექსანდრე ფერიაშვილი („მაქაბი“ძ, ვლადიმერ გოიაშვილი („ლაგუნა ვერე“ძ, პალიკო კასრაძე (დავით ტატიშვილის კლინიკაძ და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და დაფასებული საკალათბურთო აგენტი ლევან მიქელაძე, რომელსაც „არსენალში“ რევაზაშვილის ვარჯიშების ამსახველი კლიპიც აქვს.

დასასრულს, ვფიქრობთ, ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილის მრავლისმეტყველი დახასიათებაც დაგაინტერესებთ, რომელიც იშვიათად იმეტებს ვინმესთვის კომპლიმენტებს და ტალანტებს, რომ იტყვიან, ტყავს აძრობს მათთვისვე სასიკეთოდ: „გიორგი ძალიან ნიჭიერია და დღითი დღე უმატებს. მაგალითად, წლეულს მან უკვე დაამყარა რამდენიმე რეკორდი – ზედიზედ ჩააგდო 26-დან 26 სამქულიანი და 34-დან 34 ორქულიანი. გარდა ამისა, აქვს შესანიშნავი დრიბლინგი, რადროსაც ზუსტად ტყორცნის სამქულიანებს. მის უნივერსალიზმზე მეტყველებს ისიც, რომ მოხსნებთან, დაფარებებთან და ჩატენვებთან ერთად მახვილგონივრული გადაცემების ასათვისებლადაც არ იშურებს ძალ-ღონეს. ისიც მახარებს, რომ გიორგი შერმადინი ხშირად რეკავს და კითხულობს თავისი ახალგაზრდა „პროტეჟეს“ ამბებს – რევაზიშვილი ხომ მან მომიყვანა“.

**გიორგი შოთაძე**

## ◎ ინტერნეტიდან

### მოურინიო დისკვალიფიცირებულია



**ევროპული ფეხბურთის შტაბმა – უეფამ გამოიტანა რამდენიმე გადაწყვეტილება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის მატჩის „აიაქსი“ – „რეალის“ შედეგების გამო, რომელიც 23 ნოემბერს გაიმართა. მაშინ სამეფო კლუბის ორმა ფეხბურთელმა – ხაბი ალონსომ და სერხიო რამოსმა განზრახ მიიღეს ყვითელი ბარათები, რაც მინდვრიდან მათი გაძევების საბაბი გახდა.**

„რეალის“ მთავარი მწვრთნელი მოურინიო დისკვალიფიცირებულია ევროკლუბების ორი მატჩით, საიდანაც მეორე ითვლება პირობით სასჯელად სამწლიანი გამოსაცდელი ვადით. ამას გარდა, „რეალის“ დამრიგებელი დაჯარიმებულია 40 ათასი ევროთი.

ხაბი ალონსო და სერხიო რამოსი დაჯარიმებულნი არიან 20-20 ათასი ევროთი, გუნდის კაპიტანი იკერ კასილიასი – 10 ათასი ევროთი. ძალაში რჩება ალონსოსა და რამოსისთვის ნაჩვენები წითელი ბარათები, რის გამოც ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან თითო ევროკლუბის მატჩით. ამის გარდა, თავად „რეალი“ დაჯარიმდა 120 ათასი ევროთი – გვატყობინებს უეფას ოფიციალური საიტი.

### ინგლისის უარესი გუნდი

**აბა, რა იქნება ქვეყნის ჩემპიონატის მე-13 დივიზიონის ბოლო თერთმეტ შეხვედრაში 220 გოლს რომ გაუშვებს – ესაა ფეხბურთის გუნდი „მედრონი“. ერთ-ერთი მატჩი მან პირწმინდად დათმო – 0:55: თუმცა, როგორც გაზეთი The Sun იტყობინება, გუნდის მთავარი მწვრთნელი ალან დევენპორტი აცხადებს, რომ ასეთი სავალალო მდგომარეობის მიუხედავად „მედრონი“ არ აპირებს ჩემპიონატის დატოვებას.**

გასული სეზონის შედეგების მიხედვით კორნუ-



ელის საგრაფოს სამოყვარულო ლიგაში გუნდი პირველი დივიზიონიდან მეორეში მოხვდა, რადგან გუნდი დატოვა ბევრმა ფეხბურთელმა. ახლა ის „დაკომპლექტებულია“ ადგილობრივი ლუდხანის მუდმივი კლიენტებითა და სტუდენტებით. ამიტომ ხშირად მთელ შემადგენლობას ვერ აგროვებენ. ბოლო თამაშზე, 55 უპასუხო გოლი რომ გაუშვეს „ოლიგანოსთან“, მხოლოდ შვიდი ფეხბურთელი გამოცხადდა, კარშიც მინდვრის მოთამაშე იდგა.

საკვირველი ისაა, რომ ასეთი შედეგების მიუხედავად „მედრონი“ სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე როდია. იქ კლუბი „სორმიაა“, ყველა შეხვედრა რომ წააგო.

### ბეისბოლი შეიყვარა



**მოგეხსენებათ, შოუბიზნესი დასავლეთში უფრო განვითარებულია, ვიდრე ჩვენთან, ამიტომ უფრო შემოსავლიანიცაა. ამის მიზეზი პროფესიული სპორტიცაა. რის გაპიარებაც ზედმეტი როდია. სწორედ ამიტომ კინოს, სამოდელო ბიზნესის, მუსიკისა და სპორტის ვარსკვლავები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ – პოპულარობაც მეტია და ხელსაყრელი კონტრაქტებიც.**

ალბათ ამიტომაც იტალიელი ფეხბურთელები ცოლად ირთავენ აპენინებზე მომუშავე მოდელებს, ადრიანო ლიმა ცოლად გაჰყვა კალათბურთელ მარკო იარიჩს, ჯესიკა სიმპსონსაც რომანი აქვს ფეხბურთელთან. არ უნდა ჩამორჩეს დობილებს 2008 წლის თებერვლის ლამაზმანი მიშელ მაკლაფინიც. ჩრდილო ამერიკაში ლამაზმანს დიდი არჩევანი როდი აქვს – ბეისბოლისტი ან ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე. მიშელმა ბეისბოლი არჩია და ამას წინათ ცოლად გაჰყვა ყოფილ ფეხბურთელს, ფრან-პოლ სანტანჯელო, ბეისბოლის ეროვნულ ლიგაში 600 მატჩში რომ მონაწილეობდა. ის 43 წლისაა, მიშელი კი 23 – თუმცა ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, როცა საქმეში ერევა სიყვარული და ფული. ამერიკული პრესა მათ ურთიერთობას 2,5 წელიწადს უწინასწარმეტყველებს, მაგრამ უნდა გვწამდეს, რომ მათი სიყვარული გაცილებით დიდხანს გაგრძელდება.

◉ არდავიწყება

# სადაც ლეროწმებში სევდიანად ტიროდა ქარი...



**რატი ნინუა ახალგაზრდა, უდროოდ დაღუპული პოეტია. მან ათი წლის წინათ — 2000 წლის 10 მაისის დილას უნივერსიტეტის კედლებში, ერთ-ერთ აუდიტორიაში ცეცხლსასროლი იარაღით დაასრულა სიცოცხლე. წავიდა ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მეოცნებე რაინდი და „ჭირისუფალი“ — ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ შემოქმედებით საღამოზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს რატი ნინუა.**

შემოქმედებითი საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი — პოეტი, პროზაიკოსი, ლიტერატურულ სალონ „დიაოხის“ ხელმძღვანელი იკა ქადაგიძე გახლდათ: „რატი მრავალმხრივი შემოქმედი იყო, ხელოვანი, პედაგოგი, მთარგმნელი, მკვლევარი, ლიტერატურის კრიტიკოსი და უნივერსიტეტის საუკეთესო პოეტი, რომელიც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეუყვარდა საზოგადოებას.

რატიმ დიდ სიღრმეებში შეძლო ჩაწვდომა, თუმცა ამისთვის პატარა იყო, ვერ შეეგუა არსებულ სინამდვილეს. ზნეობრივად თავის თანამედროვეებზე გაცილებით მაღლა აღმოჩნდა და, სამწუხაროდ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა... „ჩვენ ვცდილობთ ავხსნათ იმ ტრაგედიის მიზეზი, რამაც რატი ამ უკიდურეს ნაბიჯამდე მიიყვანა. ეს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის კედლებში პროტესტის ყველაზე ულმობელი და სასტიკი ნაბიჯი იყო“, — გვითხრა იკა ქადაგიძემ.

იკა ქადაგიძის თქმით, ლიტერატურულმა ალიანსმა ინიციატივით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს, რათა უნივერსიტეტის 101-ე აუდიტორიას რატი ნინუას სახელი ეწოდოს. ალიანსის ინიციატივას მხარი დაუჭირეს ქართველმა ხელოვანებმაც, და შეგროვდა ხელმოწერები.

შემოქმედებითი საღამო რატის მიერ 9 აპრილს წაკითხული ლექსით გაიხსნა. როსტომ ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ გაიხსენა რატის ლექსი „აღსარება იესოს!“ —

„არ მითხრა, არა, რომ გვიანია,
რომ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ვინანიებ, მე ვინანიებ,
მე ვინანიებ, ტკბილო მამაო“.

ამ ლექსის გამო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, კურთხევა მისცა რატის ახლობლებს, რომ მისი სულისთვის ელოცათ და სანთელიც დაენთოთ.

რატი გაიხსენეს მეგობრებმა, შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარის“ წევრებმა, პოეტებმა: სერგი ლომაძემ, კახა ბაციკაძემ, გიორგი ზუხბაიამ. მათ რატი ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე აღიარეს დიდ შემოქმედად. პირველად მისმა უახლოესმა მეგობარმა, გაერთიანების ლიდერმა სერგი ლომაძემ გამოაქვეყნა მისი ცნობილი ლექსი „ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედია“.

რატის სტუდენტური წლები მისმა თანაკურსელმა ცისანა ბურჯანაძემ გაიხსენა...

რატი ნინუას კალამს ეკუთვნის რამდენიმე კრებული. ახლახან კი გამომცემლობამ „ეროვნული მწერლობა“ დაბეჭდა რატის ერთტომეული...

შემოქმედებით საღამოზე მიწვეული იყვნენ: უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, გიმნაზიის პედაგოგები, საპატრიარქოს მღვდელთმსახურნი, საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, პოეტები, მწერლები.

საღამოზე ლექსები წაიკითხეს რატის დისშვილებმა — პატარა რატიმ და ანანომ. ნახევარ წელიწადში გამოვა ახალი წიგნი იკა ქადაგიძის რედაქტორობით: „მოგონებები რატი ნინუას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე“...

**თინათინ ბორცვაძე**

◉ დედოფლისწყარო

## გია ყანჩელის საიუბილეო საღამო

**ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის ძალისხმევით რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის საიუბილეო საღამო, რომელზეც საგანგებოდ იყო მიპატიჟებული კომპეტენტური საზოგადოება:** ყველაფერი საკმაოდ პომპეზურად დაიწყო. გია ყანჩელის შემოქმედებით მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა მუსიკათმცოდნე თამილა ნადირაშვილმა, შეკრებილთ მოისმინეს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი გია ყანჩელის „მუსიკა კინოსა და თეატრისთვის“. მოწვეულმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ამ საიუბილეო საღამოს ორგანიზატორებს.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◉ ინფორმაცია

## სისუფთავეს გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლები დაიცავენ

**ქალაქს დანაგვიანებისგან გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლები დაიცავენ. როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ ჟურნალისტებს განუცხადა, ისინი ქუჩებში სპეციალური ავტომანქანებით იმოძრავებენ.**

**— გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებს ექნებათ ვიდეოკამერა, რომლის მეშვეობითაც ისინი ქალაქის დაბინძურების ფაქტებს დააფიქსირებენ და მათ საჭიროების შემთხვევაში, თუ მოქალაქეების მხრიდან რაიმე პრეტენზია იარსებებს, გამოვიყენებთ, — განაცხადა მინისტრმა.**

**შეგახსენებთ, რომ კანონი, რომლის მიხედვითაც, ქუჩების დაბინძურება და ნაგვის გადაყრა ფინანსური ჯარიმებით ისჯება, ძალაში პირველი დეკემბრიდან შევიდა.**

**კანონის თანახმად, ქალაქის დაბინძურების შემთხვევაში ქუჩაში ფეხით მოსიარულეები 50 ლარით დაჯარიმდებიან. იგივე რაოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევთ იმ პირებსაც, რომლებიც ნაგავს ავტომანქანიდან გადაყრიან. რაც შეეხება საწარმოებს და კომპანიებს, დანაგვიანებისთვის მათი სანქცია 200 ლარს შეადგენს.**

## ნავთობგადამამუშავებელ საწარმოს ქუვეითელები აგვიშენებენ

**ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობაზე საქართველო მოლაპარაკებებს ქუვეითთან აწარმოებს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის განმარტებით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია ქუვეითის საინვესტიციო სააგენტოსთან და ქუვეითის საფინანსო სახლთან.**

**თუმცა მანამდე პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებაა მოსამზადებელი, რომელსაც ამერიკული კომპანია „ოტისი კაპიტალი“ განახორციელებს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე ტენდერი ნავთობისა და გაზის კორპორაციამ გამოაცხადა და გამარჯვებულად ამერიკული კომპანია დაასახელა.**

**ხეთაგურის განმარტებით, მას შემდეგ რაც ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება დაიდება, ამის შემდეგ პროექტის განმახორციელებელი კომპანია ჩამოყალიბდება. მინისტრის ინფორმაციით, აღნიშნული კომპანიის ჩამოყალიბების შემდეგ ამ კომპანიის აქციები ლონდონისა და ციურიხის ბირჟებზე განთავსდება, ამ ეტაპისათვის საუბარია აქციათა 30-40 %-ის განთავსებაზე.**

**ალექსანდრე ხეთაგური აცხადებს, რომ მას შემდეგ რაც პროექტი წარმატებით განხორციელდება და საქართველოში ნავთობგადამმუშავებელი საწარმო აშენდება, მთავრობა თავად გადაწყვეტს სახელმწიფო საკუთრებაში დაიტოვოს საწარმო თუ კერძო ინვესტორი მოიძიოს.**

## ვირუსის კიდევ ერთი შემთხვევა

**საქართველოში „ღორის გრიპის“ ვირუსის მეორე შემთხვევა გამოვლინდა. ამჯერად ე.წ. ღორის გრიპი ახალგაზრდა ქალს დაუდგინდა.**

**როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ის მკურნალობის კურსს საკუთარ სახლში გადის.**

**— სეზონის მოახლოებასთან ერთად მოსალოდნელია ვირუსის მატება, თუმცა ეს საგანგაშო არ არის, რადგან ქვეყანაში შესაბამისი მედიკამენტების სრული მარაგია, — აცხადებენ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში.**

**შეგახსენებთ, რომ ამ სეზონზე ე.წ. ღორის გრიპის პირველი შემთხვევა ორი კვირის წინ დაფიქსირდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**განცხადება**

**ს/ს „ელექტრონიკა“-94 ა/წ. 24 დეკემბერს 15 საათზე კ. გამსახურდიას №14-ში ატარებს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას.**

**დღის წესრიგი:**

ზოგიერთი სამეურნეო და ადმინისტრაციული საკითხების განხილვა.

**მომხ: ვ. ციხელაშვილი**

◉ პატივგება

# ნუთუ წალენჯიხელებს დაავიწყდათ თავიანთი პოეტი?

**არა, ნამდვილად ვიცი, არ დავიწყებიათ! ჩემს ერთ მეგობარს დავურეკე 27 ნოემბერს, — გამოჩენილ პოეტს, პროზაიკოსს, მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს, გიორგი შერვაშიძისა და დიმიტრი გულიას პრემიების ლაურეატს შოთა აკობიას 27-ში დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა და, რას შვრებით-მეთქი. არ ვიციო, მითხრა! ის, ჩემი მეგობარი წალენჯიხის ხელმძღვანელობის „მარაქაში“ არაა გარეული და რა ეცოდინებოდა... ისე კი, დამაიმედა, — რა უნდა ბიჭო, მაგას? შეათანხმებენ ზუგდიდთან და... ხომ იცი, ახლა ჩვენმა რაიონმა ყველაფერი გუბერნიას უნდა შეუთანხმოს! წალენჯიხას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკითხები!**

მეც, ცოტა გამკრა გულზე, — აბა, წალენჯიხას, როგორ დაავიწყდებოდა თავისი ღირსეული შვილი, ღირსეული პოეტი და მოქალაქე, ადამიანი, რომლის ძეგლი აქ, თბილისში, კუკიის სასაფლაოზე კი არ უნდა იდგეს, არამედ ოცარცეს ხიდთან, სათანჯოს ციხე-კოშკის აკანში უნდა იყოს აღმართული ქართველი და აფხაზი ხალხების ძმობის სიმბოლოდ!

მე არ შევუდგები ბატონი შოთა აკობიას შემოქმედების განხილვას, მაგრამ ძალიან მომინდა მთელი საქართველო ყოფილიყო იმ დღეს სოხუმის ლტოლვილ უნივერსიტეტში, სადაც ბატონი შოთას პატივგების საღამო გაიმართა. მომესურვილა, ოთხმოცდაათი წლის ასაკში მაინც, კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ ეს ბრწყინვალე პოეტი კახეთსა და ქართლს, მესხეთსა და ჯავახეთს, აჭარასა და სამეგრელოს, მთელ საქართველოს! კაცი, რომელმაც მწარე ტკივილად ჩაიტანა საფლავში აფხაზთა და ქართველთა დიდი სატკივარი. სწორედ ამ ტკივილად მოჰქუხს დღეს მისი „ენგური“, წარსულის ჰეროიკად და აწმყოს სურათ-ხატად დგას „ერეკლეს სახლი“ და ლექსების ჯარი.



შოთა აკობია

და რამხელა სიამაყეს იგრძნობდა ყოველი ქართველი, როცა მოუსმენდა პროფესორ ტიტე მოსიას, პოეტებს გენო კალანდიას, დავით შემოქმედელს, ბალათერ არაბულს, ჯემალ ჯინჯიხაძეს, რენე კალანდიას და სხვებს. აღფრთოვანების გარეშე ვერ შევძელი მომესმინა პროფესორ ციალა მესხიას გამოსვლა! მართალია, ჩემთვის ყოველთვის ახლობელი იყო ბატონ შოთა აკობიას პოეზია, მის შემოქმედებაზე მეც ამიღია მოკრძალებული კალამი, მის ბრწყინვალე რომანზე „თეთრი ჩრდილი“ ჩემი აღფრთოვანება გამომითქვამს პრესაში, მაგრამ უპრიანად მიმაჩნია აღინიშნოს — ქალბატონმა ციალა მესხიამ ბატონ შოთას ბრწყინვალე შემოქმედებას კიდევ ერთხელ გვაზიარა დამსწრენი, და მე კიდევ ერთი დიდი სურვილი გამიჩნდა, — ქართულ „მასმედიას“ მოეკრიბა მამულიშვილური სულისკვეთება, განზე გაეწია „რეკლამური პრინციპები“ და უანგაროდ გამოექვეყნებინა ამონარიდი ქალბატონ ციალა მესხიას დასაბეჭდად გამზადებული მონოგრაფიიდან ბატონი შოთა აკობიას პოეტურ სულზე! უბრალოდ, სირცხვილიც კია, ღირსებით აღსავსე საკუთარ შვილზე ნათქვამი ორიოდე სიტყვა „საყიდელი“ ჰქონდეს ქართველ ერს. ეს დიდი მოღვაწე და კალმოსანი ხომ მუდამ უანგაროდ ემსახურებოდა მამულს!

...წალენჯიხელები კი, მჯერა, სირცხვილს არ ჭამენ თავიანთი ღვიძლი შვილის სახელის წინაშე და ღირსეულად აღნიშნავენ 90 წლის მარად ჭაბუკი პოეტის იუბილეს!

**ზაურ ფიფია**

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7530 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4083 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8129 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |




## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ◎ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ნიდერლანდებში, „სექსი ტელეფონით“ მომსახურების ოფისში, ათი თვის განმავლობაში ქალის ნაცვლად კაცი მუშაობდა. ის ისე ოსტატურად იცვლიდა ხმას, რომ ასობით კლიენტი მოხიბლა. ოფისის მესვეურნი კმაყოფილი იყვნენ მისი მუშაობით, მაგრამ მან მაინც მიატოვა სამსახური, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა.

● ამ წიგნის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ კუნძულ მას-აფუერას წიგნის მთავარი გმირის პროტოტიპის სახელი – ალექსანდრ სელკირკი დაარქვეს, ხოლო კუნძულ მას-ატიერას თვითონ ამ გმირის – რობინზონ კრუზოსი.

● ეთიოპიის იმპერატორ მენელიკ მეორეს, რომელიც ქვეყანას 1889-1913 წლებში მართავდა, ისე მოეწონა ახალი გამოგონება – ელექტრონული სკამი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სამი ეგზემპლარი შეუკვეთა, მაგრამ დანიშნულებისამებრ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. მხოლოდ ერთი უწევდა მას ტახტის მაგივრობას. იცით, რატომ ვერ შეძლო ელექტროსკამის მოხმარება? – იმ დროს ეთიოპიაში ელექტროენერგია არ ჰქონდათ.

● ჩინეთში, ქალაქ მინხაიში, არის მუზეუმი, სადაც გამოფენილია საანგარიშოს 50 სახეობა. ყველაზე პატარა ვერცხლის საანგარიშოა, რომლის სიგრძე 1,5, სიგანე კი – 15 სანტიმეტრია, ყველაზე დიდი კი ხისაა, მისი სიგრძე – 625, ხოლო სიგანე 168 სანტიმეტრია.

● დამნაშავეობის ზრდის გამო, არც ისე დიდი ხნის წინ, არგენტინაში გამოვიდა დადგენილება „ქვეყნის ყველა მამრობითი სქესის მოქალაქე წვერგაპარსული უნდა იყოს, რათა დამნაშავეებმა წვერს არ შეაფარონ თავი“.

● ვიეტნამის პროვინცია თხაიბინში პაგოდა დაუში შუა საუკუნეების ქურუმი სწავლულ ვუ კჰაკას სტატუეტი შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ის სულაც არ ყოფილა ხელოვნების ნიმუში. სტატუეტი თავად ქურუმის მუმია აღმოჩნდა, რომელიც სპეციალური ლაქითა და ვერცხლის თხელი ფენითაა დაფარული.

● ინგლისელი მწერალი ბენეტი სამეფო კარის ნადიმზე იყო მიწვეული. უცებ მისკენ იორკელი ჰერცოგი, მომავალი მეფე ჯორჯ VI, გაეშურა. შეშფოთებულმა ბენეტმა მეზობელს გადაუჩურჩულა: „ღმერთო ჩემო, თუ გამომელაპარაკა, ალბათ, სიცოცხლეს ტაუერში გავატარებ“, – ბენეტის შიში უსაფუძვლო სულაც არ ყოფილა, ის მეფე ჯორჯ VI-ვით ენაბლუ იყო.

● 1918-1920 წლებში საბჭოთა რუსეთში ისეთი უმნიშვნელო დანაშაულისთვის, როგორიცაა ქათმის მოპარვა, არყის გამოხდა ან ადამიანის შეურაცხყოფა და სხვა წვრილმანი დანაშაულები, დამნაშავეს დღევანდელი თვალთახედვით უმძიმეს სასჯელს აკისრებდნენ, – ეს იყო თავისუფლების აღკვეთა მსოფლიო რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე.

● ბრიტანელმა ლორდმა კორნბერიმ, რომელიც ამერიკაში მსახურობდა, ერთ-ერთი თავყრილობა ცისფერ საბანკეტო კაბასა და აბრეშუმის ფეხსაცმელში გამოწყობილმა გახსნა. რა თქმა უნდა, მაშინ არავინ იცოდა, რომ ლორდი ტრანსვესტიტი იყო. ლორდი გაოგნებულ სტუმრებს უხსნიდა, კაბა დედოფალმა მაჩუქა და უფლება არ მქონდა, არ ჩამეცვაო.

## როგორ დავთრგუნოთ მადა?

შეკითხვა: ზოგჯერ მთელი დღე არაფერს ჭამ და არც გინდა რომ ჭამო. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ როცა ჭამას დაიწყებ, შეჩერება აღარ შეგიძლია. ამას მოჰყვება ხოლმე ზედმეტი კილოგრამები. იქნებ მე იმას არ ვჭამ, რაც საჭიროა?

თ.მახარაძე,
ქუთაისი




## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +11 |
| ქუთაისი. | +13 – +19 |
| ბათუმი. | +10 – +22 |
| ზუგდიდი. | +10 – +20 |
| თელავი. | +3 – +15 |


## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.


## ◎ კადრი



## ◎ ანეკდოტები

რაბინოვიჩ, გამოტყდით, თქვენ მოიპარეთ ფაბერჟე?

– რას ამბობთ, უფროსო, კი არ მოვიპარავს, საოჯახო რელიკვია დავიბრუნე.

– ???

– იცით რა, იგი სინამდვილეში ბაბუაჩემის დაუმთავრებელი პორტრეტია.

– რა პორტრეტი, კაცო, ეს ხომ კვერცხია?!

– გეთანხმებით, მე, მაგალითად, სახით დავიწყებდი, მაგრამ ეს ხომ ფაბერჟეა...

* * *

– ჩემი ლეკვი ისეთი მშიშარაა, მეტი არ იქნება. საკმარისია, რაიმე ხმაური ატყდეს ან, თუნდაც, ვინმემ კარზე დააბრახუნოს, მაშინვე საწოლქვეშ მიძვრება.

– შეძვრეს მერე, რას გიშლის?

– რას მიშლის და, იქ ორივენი ვერ ვეტევით...



* * *

პროქტოლოგი ისეთი საშიში არ არის, როგორც მისი თითი.

* * *

დემოკრატია დიქტატურისგან იმით განსხვავდება, რომ მიწაზე კი არ დაგანარცხებენ, არამედ რბილად დაგაგდებენ.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.